აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№51 (25.075) ხუთშაბათი, 18 - 19 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 19-24, შიდამთიან რაიონებში - 16-21 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ჩვენ მწყობრად მივდივართ წინ და ჩვენი მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეიკიავიკში, ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების სამიტის ფარგლებში გამართულ გენერალურ დებატებზე სიტყვით გამოსვლისას. „ჩვენი საერთო ისტორია და საერთაშორისო წესრიგი ცხადყოფს, რომ ალტერნატივა არ გააჩნია კეთილდღეობას და მშვიდობას მსოფლიოში, საქართველო ამ ფასეულობებს და ღირებულებებს იცავს და ელის თანამშრომლობას ევროსაბჭოში“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი არამოსამართლე წევრი აირჩია. კანდიდატებმა 90 ხმაზე მეტი მიიღეს, რაც ნიშნავს, რომ მმართველი გუნდის დეპუტატების გარდა, მათ ხმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმაც მისცეს. აღნიშნული ოპოზიციამ სხდომათა დარბაზის დატოვებით გააპროტესტა და კენჭისყრის პროცესი შეწყდა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კიდევ ორი არამოსამართლე წევრია ასარჩევი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ასარჩევად სულ მცირე 90 ხმაა საჭირო. „ქართული ოცნების“ უმრავლესობას პარლამენტში 84 ხმა აქვს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 5 არამოსამართლე წევრის თანამდებობა ვაკანტური 2021 წლიდანაა, მას შემდეგ, რაც მათ უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ.

* * *

უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული ანდრეი კასიანოვი ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ საქართველოს ტოვებს. „მინდა, ყველას გისურვოთ მშვიდობა, ჰარმონია, ერთიანობა, წარმატება, ბედნიერება და კეთილდღეობა. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ უკრაინასა და საქართველოს არა მხოლოდ საერთო ისტორია, არამედ ნათელი საერთო მომავალი აქვთ ევროპელი ერების ერთიან მეგობრულ ოჯახში. ჩვენი ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სტრატეგიული მიზანი ძალიან ახლო მომავლის საკითხია“, - დაწერა კასიანოვმა სოციალურ ქსელში.

* * *

ენმ-ის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბეჟაშვილი აცხადებს, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის მოადგილე ვედანტ პატელის განცხადებას მოკლე პერიოდში შესაძლოა, კონკრეტული სანქციები მოჰყვეს. პატელის განცხადებით, „თუკი რუსეთთან ფრენები დაიწყება, ეს დასავლეთის მზარდი შეშფოთების საგანი იქნება. ვითარების მონიტორინგი გაგრძელდება და დამატებით ნაბიჯებს აშშ საჭიროების მიხედვით გადადგამს“.

მოამზადა
ია შველიძემ

გაიხსნა ფრიდონ ხალვაშის ბიუსტი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გუშინ დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაშის დაბადების დღე იყო. ამასთან დაკავშირებით, აჭარის მწერალთა სახლის მოპირდაპირედ, ეგრეთ წოდებულ მზის საათთან ქალაქის საზოგადოება შეიკრიბა

წელს სახალხო დღესასწაული „ფრიდონობა“, ობიექტური მიზეზების გამო, ასე აღნიშნეს (ადრე ეს სახალხო დღესასწაული პოეტის მშობლიურ სოფელ გეგელიძეებში იმართებოდა). აქ მოვიდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ბათუმის საკრებულის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ოჯახის ახლობლები.

ბატონი ფრიდონი 37 წელი ხელმძღვანელობდა აჭარის მწერალთა ორგანიზაციას. სწორედ მწერალთა სახლის წინ გაიხსნა ფრიდონ ხალვაშის ბიუსტი, რომლის ავტორი გახლავთ თეიმურაზ მახარაძე.

ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობა შეკრებილთ აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძემ შეახსენა.

პოეტი გაიხსენეს მისმა კოლეგებმა ვახტანგ ღლონტმა, როინ აბუსერიძემ, ბელა ქებურიამ...

გუშინ ფრიდონ ხალვაშის შვილის, რეჟისორ ზაზა ხალვაშის დაბადების დღეც იყო, რომელიც ასევე გულთბილად მოიგონა იქ შეკრებილმა საზოგადოებამ. მისმა მეუღლემ, ნინო პაპუნიძემ მადლობა გადაიხადა ფრიდონ ხალვაშის დაფასებისთვის.

აქედან სტუმრებმა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ეზოში გადაინაცვლეს, სადაც პატივი მიაგეს პოეტის ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი. მოსწავლეებმა წაიკითხეს ფრიდონ ხალვაშის ლექსები. სასულიერო პირებმა პანაშვიდი გადაიხადეს.

უფრო ვრცლად ამ მოვლენის შესახებ გაზეთ „აჭარის“ მომდევნო ნომერში წაიკითხავთ.

ბათუმში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი

2

ნატო და ევროკავშირი - უსაფრთხოება და ეკონომიკური აღმავლობა

3

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, ბათუმის №16 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, თანამედროვე სტანდარტების, 1000 მოსწავლეზე გათვლილი, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო. აჭარის მთავრობის ინფორმაციით, ძველი სკოლის დემონტაჟისა და მის ადგილზე ახალი სკოლის მშენებლობის გადაწყვეტილება აჭარის მთავრობამ მოსწავლეების უსაფრთხოებისა და შენობის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღო.

- დღეს ჩვენ სიმბოლურად საფუძველს ჩავუყრით ქალაქში ერთ-ერთი გამორჩეული სკოლის მშენებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სკოლა იქნება ძალიან კარგი და იქნება განათლებული, მოტივირებული მოსწავლეების, ახალი თაობის აღზრდის ადგილი. სწორედ ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოკლე დროში შევძლოთ მემკვიდრეობით დატოვებული ამ დიდი პრობლემის გადაჭრა. სამწუხარო ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ბათუმში არ შენდებოდა სკოლები, თუმცა ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ და ძალიან მალე უნდა შევძლოთ მასთან ეფექტურად გამკლავება. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი გაკეთდა, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, 80 სკოლის რეაბილიტაცია-მშენებლობა მიმდინარეობს აჭარაში და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება, - განაცხადა თორნიკე რიფუვაძემ.

მთავრობის ცნობითვე, ახალ სკოლაში განთავსდება ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, 300 მაყურებელზე გათვლილი სააქტო დარბაზი, ღია და დახურული სპორტული მოედნები. შენობა იქნება სრულად ადაპტირებული. აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, 2023 წელს აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 80 სკოლას, 25 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდება სასწავლო გარემო.

აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2023 წლის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა მოისმინეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა საბიუჯეტო საკითხებს დაეთმო და მას ამავე კომიტეტების თავმჯდომარეები დავით ბაციკაძე და ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდნენ.

აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2023 წლის პირველი კვარტალის შესრულების მიმოხილვა კანონმდებლებმა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისგან მოისმინეს. ჯაბა ფუტკარაძემ ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ იმ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა, რომლებიც რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება.

მომხსენებლის განცხადებით, როგორც შარშან, ისე წელს ეკონომიკური ზრდის ტენდენცია გრძელდება, რაც შემოსავლების მაჩვენებლებზეც აისახა. მინისტრის განცხადებით, რეგიონში არ შეჩერებულა არცერთი პროექტი, მათი ნაწილი დასრულდა, ნაწილზე მუშაობა კი გრძელდება, ან დასრულების სტადიაშია.

კითხვა-პასუხის შემდეგ კომიტეტებმა ცნობად მიიღეს მინისტრის მიერ წარმოდგენილი ორივე ანგარიში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

რეგიონული ფორუმი – მოხალისეობის კულტურის პოპულარიზების მიზნით

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

2023 წლის 19 მაისს „ჰილტონ ბათუმში“ რეგიონული ფორუმი „სამოქალაქო საზოგადოება მოხალისეობის განვითარებისათვის“ გაიმართება, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები საქართველოში მოხალისეობის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ისაუბრებენ. ფორუმზე სტუმრებს წარუდგენენ აჭარის რეგიონში განხორციელებულ ინიციატივებს და დაინტერესებულ ახალგაზრდებს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას შესთავაზებენ

მოსწავლეები და სტუდენტები ამ ფორუმზე აღმოაჩენენ ახალ შესაძლებლობებს როგორც მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩასართავად, ისე გამოცდილების მისაღებად.

ფორუმის მიზანია, აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური ჩართვა ადგილობრივი თემის საჭიროებების გადაწყვეტაში, მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია, ასევე მოხალისეების მიმღებ ორგანიზაციებსა და მოხალისეობით დაინტერესებულ პირებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა.

ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდები, მოხალისეები, აქტივისტები, პედაგოგები, ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების, თვითმმართველობების, მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

გამოფენაზე ბათუმის ახალგაზრდული საბჭო, მისი როლისა და საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, აუდიტორიას განხორციელებულ საქმიანობას გააცნობს.

ფორუმი იმართება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის (EDEC) და აჭარის რეგიონული ჰაბის - „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ ორგანიზებით.

ტურიზმის დეპარტამენტი აჭარაში ტრენინგ-სემინარებს ატარებს

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით, თეორიულ-პრაქტიკულ ტრენინგებს სასტუმროებისა და კვების ობიექტების მენეჯერების, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების, მიმტანებისა და გიდებისთვის ატარებს

უწყების ინფორმაციით, მიმდინარე კვირიდან ტრენინგების საგაზაფხულო სესიები სასტუმროების ადმინისტრატორებისთვისაც დაიწყება. დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები უფასოა და დასწრება აჭარაში მოქმედი ტურისტული სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ. მსურველებმა წინასწარი რეგისტრაცია სერვისის განვითარების ოფიციალურ ვებგვერდზე http://serviceajara.ge/ უნდა გაიაროონ.

„წელს პირველად ჩატარდა ტრენინგები დამწყები თურქულენოვანი გიდებისთვისაც, რომლებმაც გიდის პროფესიასთან ერთად ბათუმის ტურისტული მარშრუტების მიმართულებით მიიღეს თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა. ჯამში, 35-ზე მეტმა დამწყებმა გიდმა გაიარა ტრენინგები. რაც შეეხება ტურისტული სექტორის სხვა წარმომადგენლებს, მათ ცოდნა სერვისის საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით გაიუმჯობესეს. ტრენინგები ბათუმსა და ქობულეთში მარტიდან მიმდინარეობს. საგაზაფხულო სესიებისას სულ 400-მდე სექტორის წარმომადგენელი გადამზადდება. წლის ბოლომდე, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ტრენინგებთან ერთად, მასტერკლასებს, ვიდეოგაკვეთილებსა და ვორქშოპებს გეგმავს“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამბები

კონკურსში გამარჯვებულები

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

მხატვრული კითხვის კონკურსის დასკვნითი ეტაპი ქედის კულტურის ცენტრის დარბაზში გაიმართა და მასში ქედის საჯარო სკოლების 50 მოსწავლე მონაწილეობდა.

კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეებში მხატვრული კითხვის უნარ-ჩვევების, ასევე, ჟესტების, მიმიკის, ინტონაციის, ორთოგრაფიული და პუნქტუაციის ნორმების სათანადოდ დაცვა-გამოყენების უნარის გამომუშავება.

კონკურსში მონაწილე მოსწავლეები შეაფასეს და 11 გამარჯვებული გამოავლინეს კომპეტენტური ჟიურის წევრებმა. ისინი ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვა.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია, ქედის რესურსცენტრის დირექტორი დურმიშხან შავიშვილი, კულტურის ცენტრის დირექტორი ჯამბულ სურმანიძე და რეჟისორი ლია მახარაძე.

ფიჭვის ნერგები დარგეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

შუახევის მუნიციპალიტეტის ხიჭაურის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში. მათ ახალდაბის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების აქცია გამართეს - ხიჭაურის საჯარო სკოლის დირექტორმა მზევინარ ქათამაძემ და მოსწავლებმა 30 ძირი ფიჭვის ხე დარგეს.

აქციაში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ ფუტკარაძე, საკრებულოს წევრები და შუახევის სატყეოს ადმინისტრაციის დირექტორი რამაზ ტაკიძე ჩაერთნენ.

ფიჭვის ნერგები აჭარის სატყეო მეურნეობის სანერგედან შემოიტანეს.

- აქციის მიზანია, მონაწილეობა მივიღოთ ბუნების დაცვასა და აღდგენაში. გარემოს მოვლა ყველას მოვალეობაა, ახალი ხე, ახალი სიცოცხლეა და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის, - გვითხრა სკოლის დირექტორმა.

ნატო და ევროკავშირი – უსაფრთხოება და ეკონომიკური აღმავლობა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

გლობალურ პოლიტიკაში დღითი დღე მცირდება რუსეთის როლი. ბოლო დროს მისი პოზიციის ნიველირება მოხდა არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპაშიც. კრემლის ქმედება და რიტორიკა მიუღებელია დასავლეთისთვის. რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების საპირისპიროდ, ყველა ქვეყანა ცდილობს, ან მოკავშირე გაიჩინოს ზესახელმწიფოს სახით, ანაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანდეს

ამ მხრივ, ცხადია, პირველია ნატო, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა. რუსეთის აგრესიამ უკრაინისადმი ცხადი გახადა, რომ ნატოში გაწევრიანებული ქვეყნების თავდასხმას ვერ შეძლებს, ამიტომ ფინეთმა და შვედეთმა განაცხადი შეიტანეს ამ ორგანიზაციის წევრობისთვის. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყანაც ცდილობს ნატოში გაწევრიანებას.

ისმის კითხვა: როგორ გამოიყურება საქართველო ამ ჭრილში, რამდენად მზად ვართ დასავლურ სტრუქტურებში გასაერთიანებლად და როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ საწადელს მივაღწიოთ? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე პოლიტოლოგი **გელა ირემაძე** *გვესაუბრება.*

- როგორც ცნობილია, ფინეთი ოფიციალურად გახდა ნატოს წევრი, ეს, გარკვეულწილად, რუსეთ-უკრაინის ომმა ხომ არ განაპირობა?

- გარკვეულწილად - კი. მკითხველს შევახსენებ, რომ ფინეთი თითქმის 80 წელი ნეიტრალური ქვეყანა იყო და არცერთ სამხედრო ბლოკში არ იყო გაერთიანებული, მაგრამ რუსეთის აგრესიამ უკრაინისადმი, ბევრი ქვეყნის, მათ შორის ფინეთის პოზიცია შეცვალა მის მიმართ, რადგან რუსეთი სახიფათო და არაპროგნოზირებადი ქვეყანაა. ფინეთი გახდა ნატოს წევრი, არადა, პუტინმა საქართველოსა და უკრაინაში ომები იმ მოტივით დაიწყო, რომ ნატოს გაფართოება არ დაეშვა, მაგრამ საპირისპირო სურათი მიიღო. ამით არა მხოლოდ ფინეთმა უზრუნველყო თავისი დაცვა რუსეთის აგრესიისგან, არამედ ნატოც გაძლიერდა, რადგან ფინეთის ჯარი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. უახლოეს მომავალში შვედეთიც ოფიციალურად გახდება ალიანსის წევრი და ამ ქვეყნებმა რომ გადაწყვიტეს ნატოს წევრობა, ცხადია, ჩვენმა ქვეყანამ უფრო უნდა იაქტიუროს ამ მიმართებით.

- მოგეხსენებათ, ბუქარესტის სამიტზე მკაფიოდ განაცხადეს, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. ჩვენს ქვეყანას ალიანსთან 25-წლიანი ურთიერთობა აკავშირებს. თქვენი პროგნოზი...

- დიახ, ნატოს ბუქარესტის სამიტზე მკაფიოდ ითქვა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. ეს ჩანაწერი არავის გაუუქმებია. ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1994 წლიდან იწყება, როცა საქართველო პროექტში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ჩაერთო. მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა ძალიან აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, მათ შორის კონკრეტულ ინიციატივებში, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველომ, პრაქტიკულად, ყველა ინსტრუმენტი მიიღო, რათა მოემზადოს ალიანსის წევრობისთვის. ისიც იცით, რომ საქართველომ ნატოსგან ასპირანტის სტატუსი მიიღო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ვიდრე არ დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი, ალიანსი აღმოსავლეთით არ გაფართოვდება. ახლა ომში ჩართულ ქვეყანას (ვგულისხმობ უკრაინას) ნატოში არავინ მიიღებს. რაც შეეხება საქართველოს, ამ მხრივ დიდად არც ჩვენი ქვეყანა და არც ალიანსი არ აქტიურობენ გასაგები მიზეზების გამო.

- რამდენად ვაკმაყოფილებთ დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს ნატოში სამომავლო მიღების თვალსაზრისით, გადაწყვეტილების მიღების დროს პრეტენზიები რომ არ წამოგვიყენონ?

- ცხადია, ამ კუთხით ნატოს ძალიან ბევრი მოთხოვნა აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. საგარეო პოლიტიკური კუთხით სადავო არაფერია. ჩვენ გვაქვს სახელმწიფოებრივ დონეზე მკვეთრად არჩეული და გამოკვეთილი ევროატლანტიკური კურსი, მაგრამ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ქვეყნის განვითარების, პოლიტიკური სისტემის, დემოკრატიის განვითარების ხარისხთან დაკავშირებით.

- რას გულისხმობთ?

- ჯერ კიდევ შორს ვართ სრულყოფილ დემოკრატიამდე, აქამდე ძალიან მნიშვნელოვანი გზაა გასავლელი. ნატო და ევროკავშირი თავისი რეკომენდაციებით გვეხმარებიან ამ გზის გავლაში. ეტაპობრივად იმიტომ გვაწვდის რეფორმებისთვის რეკომენდაციებს, რომ ერთბაშად სახელმწიფოს რეფორმირება შეუძლებელია და ამას არც გთხოვს. ამას შესაბამისი ფინანსური, საკადრო და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა სჭირდება და ნატოც თანდათან გვაძლევს რეკომენდაციებს, თუ რომელ სფეროში უნდა დავაჩქაროთ რეფორმები მის სტანდარტებთან მისაახლოებლად. ვფიქრობ, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივი რეფორმების პროცესი (დემოკრატიის თვალსაზრისით) შეუქცევად ხასიათს მიიღებს, ჩვენ ნატოს და ევროკავშირის ყველა მნიშვნელოვან სტანდარტს დაკმაყოფილებთ, თუმცა ხაზი უნდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ „აქილევსის ქუსლად“ დარჩება სეპარატისტული რეგიონები, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ჩვენ შეიძლება ნატოს ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ზოგიერთმა ქვეყანამ წევრობაზე უარის მიზეზად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა დააასახელოს, თუმცა თუ პოლიტიკური ნება იქნება, ეს ხელშემშლელი ფაქტორი არ გახდება.

- ამბობენ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნები სამ კატეგორიადაა დაყოფილი: გაფართოების მომხრეები, შუალედური და ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც რუსეთის ინტერესებს მეტნაკლებად ითვალისწინებენ. რა შეიძლება ასეთ ვითარებაში მოვიმოქმედოთ?

- უკრაინის ომამდე ნატოში აზრთა სხვაობა იყო ალიანსის გაფართოების თვალსაზრისით, მაგრამ ახლა, პრაქტიკულად (თუ არ ჩავთვლით უნგრეთსა და გერმანიას), ნატოს წევრები გაფართოების მომხრენი არიან. რუსეთის აგრესიამ, გარკვეულწილად, უკრაინისა და ნატოს თანამშრომლობაც განაპირობა. კრემლს არ სურს, უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები გახდნენ, მაგრამ, მიუხედავად მოსკოვის რიტორიკისა და ზოგიერთი დასავლური ქვეყნის სკეპტიციზმისა, ჯიუტად ნატოსკენ უნდა მივისწრაფოდეთ. ალიანსში გვყავს ძველი, ტრადიციულად, ძლიერი მოთამაშეები და ასევე, ახალი ევროპული სახელმწიფოებიც, რომლებიც ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებენ საგარეო ფაქტორებზე. აქ, რა თქმა უნდა, ხაზგასასმელია რუსული ფაქტორი იმდენად, რამდენადაც საფრანგეთი და გერმანია - გლობალური პოლიტიკის მოთამაშეები იძულებული არიან, ბევრ ფაქტორს გაუწიონ ანგარიში.

- კრემლისეული პროპაგანდა მთელი მსოფლიოს პრობლემაა და რა გასაკვირია, რომ რუსეთი ამ იარაღს საქართველოს წინააღმდეგ იყენებს. მაგალითად, მიმდინარეობს იმის პროპაგანდა, რომ თუ ჩვენ დასავლურ კურსზე უარს ვიტყვით, მოსკოვი მიტაცებულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს, რას ფიქრობთ ამაზე?

- რუსეთის ნდობა არ შეიძლება. ამ ქვეყანამ არაერთხელ დაარღვია შეთანხმება სხვადასხვა სახელმწიფოსთან. ჩვენმა ქვეყანამ რუსეთის ვერაგობა საკუთარ თავზე არაერთხელ იწვნია. თუ ევროპაზე უარს ვიტყვით, მთლიანად მოვექცევით რუსეთის ორბიტაზე, გარწმუნებთ, რომ როგორც კი უარვყოფთ დასავლურ კურსს, საქართველო მაშინვე აღმოჩნდება რუსეთის გავლენის ქვეშ.

- სხვათა შორის, ზოგი პოლიტიკოსი და პრორუსი ექსპერტი ამბობს, რომ თურმე ნატო გვირჩევს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვას შეეგეგუოთ...

- ნატო არ ითხოვს, რომ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები დავივიწყოთ და ისე გავერთიანდეთ ალიანსში. პირიქით - ნატოს გენერალურმა მდივანმა არაერთხელ განაცხადა, რომ ალიანსი არ აღიარებს ე. წ. ხელშეკრულებას ინტეგრაციის შესახებ, რომელიც „სამხრეთ ოსეთსა“ და რუსეთს, ასევე აფხაზეთსა და რუსეთს შორის დაიდო. იგი მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს საქართველოს რეგიონების - „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის აღიარება დამოუკიდებელ ქვეყნებად და გაიყვანოს სამხედრო ძალები საქართველოდან.

- რას მოუტანს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება?

- ნატო და ევროკავშირი ბევრი კუთხითაა მიმზიდველი, თუნდაც უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის, ამიტომ საქართველოს წარმატება დამოკიდებულია სწორედ იმ ღირებულებებზე, რასაც დასავლეთის ქვეყნები ამკვიდრებენ. ესაა სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, ცივილური პაექრობა ოპონენტებს შორის და განსხვავებული აზრის პატივისცემა.

- და, თქვენი აზრით, როდის გაერთიანდება საქართველო ნატოში?

- ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან ბევრ ფაქტორთანაა დაკავშირებული. სავარაუდოდ, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა გარკვეულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და მეორე მხრივ, თავად ალიანსი იქნება ამისთვის მზად.

- უკრაინის გარდა რომელი ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს კრემლის ახალი სამიზნე?

- როგორც მოგეხსენებათ, მეთოთხმეტე თვეა, უკრაინაში ომია. უკრაინელები რუსეთის აგრესიას უმკლავდებიან. ბახმუტში უკრაინის არმიამ წარმატებული კონტრშეტევა, სწორედ დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერით განახორციელა. დასავლეთი არ დაუშვებს უკრაინის დამარცხებას, თუმცა ომი, სამწუხაროდ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ცნობილია, რომ ვინც კი კოლექტიურ დასავლეთს დაუპირისპირდა, პირწმინდად წააგო, იგივე ბედს გაიზიარებს რუსეთი. სავარაუდოდ, პუტინი შეეცდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე რუსეთის გავლენა გაზარდოს, ამიტომ საკმაოდ რთული პერიოდი გველოდება, რუსეთისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი. ჩვენ მეტად უნდა შევახსენოთ მსოფლიოს ჩვენი პრობლემები, ყველა დონეზე უნდა ვილაპარაკოთ ამაზე, რათა რუსეთის ხელახალი აგრესიის სამიზნე არ გავხდეთ.

- დაბოლოს, სტრასბურგის სასამართლომ ამას წინათ რუსეთი კვლავ დაადანაშაულა საქართველოსთან მიმართებით.

- სტრასბურგისა და, მანამდე, ჰააგის სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს, კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ საქართველო აგრესიის მსხვერპლი იყო. ეს სარჩელი 2008 წლის აგვისტოს ომს ეხებოდა. რუსეთი გამტყუნდა და მას საქართველოსთვის 130 მილიონი ევროს კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს უდანაშაულობა და რუსეთის ბრალეულობა, რასაც ახლა მთელი მსოფლიო თვალნათლივ ხედავს.

> **„** *რუსეთის ნდობა არ შეიძლება. ამ ქვეყანამ არაერთხელ დაარღვია შეთანხმება სხვადასხვა სახელმწიფოსთან. ჩვენმა ქვეყანამ რუსეთის ვერაგობა საკუთარ თავზე არაერთხელ იწვნია. თუ ევროპაზე უარს ვიტყვით, მთლიანად მოვექცევით რუსეთის ორბიტაზე, გარწმუნებთ, რომ როგორც კი უარვყოფთ დასავლურ კურსს, საქართველო მაშინვე აღმოჩნდება რუსეთის გავლენის ქვეშ*

უცხოეთი

ევროპარლამენტის არჩევნები 2024 წლის 6-9 ივნისს გაიმართება. 27 ქვეყნის მოსახლეობა 705 ევროპარლამენტარს აირჩევს. ოთხდღიანი არჩევნები ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და მსოფლიოს ყველაზე მსხვილ არჩევნებად ითვლება. მასში ხმის უფლებით 400 მილიონზე მეტი ამომრჩეველი სარგებლობს. არჩევნების შედეგად გახდება ცნობილი ევროპული საბჭოს ახალი პრეზიდენტის ვინაობა - შარლ მიშელს კიდევ ერთი ვადით ამ თანამდებობის დაკავების უფლება არ აქვს. რაც შეეხება ურსულა ფონ დერ ლაიენს, მას ოფიციალურად არ დაუდასტურებია, რომ ევროკომისიის პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს.

* * *

ომის დასრულების შემდეგ რუსეთს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ მისი ნდობა შეიძლება, - განაცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ტინი კოქსმა. მისივე თქმით, აგრესიულმა ომმა ცხადყო, რომ რუსეთი არა დემოკრატია, არამედ ავტორიტარული რეჟიმია, რომელიც აშინებს და თავს ესხმის მეზობლებს. „როდესაც ომი დასრულდება, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ ვითანამშრომლოთ რუსეთთან, რადგან ის არსად გაქრება. რუსეთში მილიონობით მოქალაქეა, რომლებიც იმსახურებენ დაცვას ევროსაბჭოს მექანიზმებით, ამიტომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები უკრაინიდან, უნდა აღიაროს, რომ დაარღვია თავისი ვალდებულებები და უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი“, - განაცხადა კოქსმა.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ რუსეთმა უკრაინასთან ომში გეოპოლიტიკური მარცხი უკვე განიცადა და, ფაქტობრივად, ჩინეთის ვასალური სახელმწიფო ხდება. აღნიშნულს რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი გამოეხმაურა. მისი თქმით, მარცხი ნატოს „პრიმიტიულმა პოლიტიკურმა კურსმა“ განიცადა. „ნატოს წევრი ყველა ქვეყანა ღამით იძინებს და დილით იღვიძებს რუსეთზე ფიქრით“, - დასძინა მან.

* * *

ევროკავშირმა მკაცრი ზომები უნდა მიიღოს ინდოეთის მიერ რუსული ნავთობის ევროპაში გადაყიდვის წინააღმდეგ, - განაცხადა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა. „ბრიუსელმა იცის, რომ ინდური საწარმოები ყიდულობენ დიდი მოცულობის რუსულ ნედლ ნავთობს, სანამ გადაამუშავებენ მას ევროპაში გასაყიდ საწვავად. თუ დიზელი ან ბენზინი ევროპაში შემოდის ინდოეთიდან და იწარმოება რუსული ნავთობის საფუძველზე, ეს, რა თქმა უნდა, სანქციების გვერდის ავლაა და წევრმა ქვეყნებმა ზომები უნდა მიიღონ“, - აღნიშნა მან.

* * *

უნგრეთის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა ევროპის მშვიდობის ფონდიდან უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მორიგი ტრანშის გამოყოფას. „ევროკავშირი, სხვა არსებულ ინსტრუმენტებთან ერთად, იყენებს ევროპის მშვიდობის ფონდს მხოლოდ უკრაინასთან მიმართებით. ეს არ იძლევა საშუალებას, მივმართოთ საკმარისი ფინანსები სხვა სფეროებში ევროკავშირის ინტერესების გასატარებლად“, - აცხადებენ უნგრეთის მთავრობაში.

მოამზადა
ია შველიძემ

სიყვარული – გზა თავისუფლებისკენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მათ შორის, ვინც განსაკუთრებული სიყვარულით საუბრობენ საკუთარ პროფესიაზე, განსაკუთრებულად უყვართ სამშობლო და დგანან მისი კეთილდღეობის სადარაჯოზე, არის ხულოს დრამატული თეატრის მსახიობი ლევან აბულაძე, რომელიც გვინდა, გაგაცნოთ

მას მიაჩნია, რომ თავისუფლება სიყვარულია და თუ გიყვარს, აუცილებლად მოგეცემა შესაძლებლობა, აკეთო, რაც შენია, გამოხატო, რაც შენშია და მიიღო ყველაზე დიდი ჯილდო - ადამიანების სიყვარული. ფიქრობს, რომ ბრძოლას საკუთარი ქვეყნის, საკუთარი თავის განვითარებისთვის ყოველთვის აქვს აზრი. სწორედ ამ სულისკვეთებამ წაიყვანა ომში, ომში, რომელმაც კიდევ უფრო გაუღვივა სურვილი, რომ მისი ქვეყანა ძლიერი, მხრებში გამართული და გამარჯვებული იყოს მტერზე, რომელსაც ოკუპანტი რუსეთი ჰქვია.

- ბავშვობა, წლები, რომლებმაც ხელოვნებასთან დაგაახლოვათ...

- ხელოვანების ოჯახში დავიბადე. ბაბუა შალვა ბოლქვაძე და ბიძა გენადი ბოლქვაძე მსახიობები იყვნენ. ხშირად მიწევდა თეატრში რეპეტიციებზე ყოფნა, სპექტაკლებზე დასწრება. ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ხელოვანი ადამიანები, ვუსმენდი მათ ისტორიებს, ვხედავდი თეატრისადმი მათ დამოკიდებულებას, სიყვარულს და შეიძლება ითქვას, პატარაობიდანვე „მოვიწამლე“ ამ ხელოვნებით. ბავშვობაში ვცეკვავდი, სცენაზე დგომა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ სცენას მთელ ცხოვრებას დავუკავშირებდი.

- რას ნიშნავს თეატრი თქვენთვის?

- მთელ ცხოვრებას. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრება ძალიან უფერული და ბევრად ცარიელი იქნებოდა, რომ არა ის პერსონაჟები, რომლებიც განვასახიერე. თეატრმა საკუთარ თავში აღმომაჩენინა თავისუფლება. 90-იანი წლების ბავშვი ვიყავი, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი პრობლემა იყო ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ ერქვა ბავშვობა იმას, რაც გვქონდა. თავისუფლებისგანაც შორს იყო მაშინდელი რეალობა, მაგრამ, როცა თეატრში შევაბიჯე, მივხვდი, რომ აქ შეიძლებოდა იმის კეთება, რაც მოგესურვებოდა. მივხვდი, რომ ის თავისუფლება, რასაც ეძებდა ლევან აბულაძე, იპოვა თეატრში.

- დღეს რამდენად იძლევა სრულ თავისუფლებას თეატრი, რამდენად წარმოაჩენს და ზედაპირზე ამოაქვს ის საკითხები, რაც საზოგადოებაში აქტუალურია?

- სამწუხაროდ, ერთგვარად, მახინჯი ბიუროკრატია შევიდა თეატრში და, ზოგადად, ხელოვნებაში, მაგრამ სწორედ ის არის მსახიობის პრივილეგია, რომ სცენაზე იყოს დამოუკიდებელი და თქვას, რასაც ფიქრობს. რა თქმა უნდა, სპექტაკლი გუნდური მუშაობის შედეგია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხელოვნება ინდივიდუალურია, რომელიც გაძლევს შესაძლებლობას, ხმამაღლა თქვა შენი სათქმელი. თუ გაგიმართლა და კარგ რეჟისორთან, კარგ პარტნიორებთან მოგიწია მუშაობა, უფრო ადვილია ამის თქმა. მიმაჩნია, რომ არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები, ანუ იმის თქმა მინდა, რომ თუ ადამიანს რაღაც კონკრეტულის თქმა უნდა, აუცილებლად იტყვის და არაფრის ფასად არ ჩაიკეტება საკუთარ ნაჭუჭში. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ყველა თეატრი და განსაკუთრებით რეგიონალური თეატრები აირჩევენ ერთ ხაზს, ერთ კურსს და პრობლემებზე, რომლებიც შესაძლოა თავად ამ მაყურებლის ირგვლივვა, მაგრამ ვერ ხედავს. თეატრი ერთგვარი მედიატორი უნდა იყოს თავისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

- დღეს მაყურებელი იღებს კითხვებზე პასუხს, რასაც თეატრში ეძებს?

- ქართული თეატრი ყოველთვის ამბობდა თავის სიტყვას არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად თეატრალურ სამყაროში. ქართულ თეატრს ჰქონდა აღზევების პერიოდი, როცა მსოფლიო გაოცა. კონკრეტულად არ ვიცი, რამ გამოიწვია, მაგრამ ის სიმაღლე, რაც ჰქონდა, დაკარგა ქართულმა თეატრმა, დაცარიელდა თითქოს. თუ ადრე ადამიანები სპეციალურად ემზადებოდნენ თეატრში წასასვლელად, სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდათ, დღეს ეს თითქოს აღარ არის. გული მიკვდება, ძალიან ბევრ თეატრში ცარიელ დარბაზს რომ ვხედავ. სისხლის მიმოქცევას შეიძლება შევადაროთ მაყურებლისა და თეატრის ურთიერთობა. დღეს რეალურად რაც აინტერესებს მაყურებელს, ყველა თეატრმა სწორედ მაგ მიმართულებით უნდა იმუშაოს და განვითარდეს. საქართველოში ისეთი თეატრები და თეატრალური კულტურა გვაქვს, სწორი მუშაობის შემთხვევაში, მსოფლიოს სხვა თეატრებს შორის კვლავ ერთ-ერთ წამყვან პოზიციას დავიკავებთ.

- როლი, რომელშიც ყველაზე უკეთ გამოხატეთ საკუთარი თავი, შესაძლებლობები...

- ყველა მსახიობს აქვს ერთი ან რამდენიმე როლი, რომელიც აბსოლუტურად დაემთხვა მის შინაგან მდგომარეობას, მის ამბიციას, მის შესაძლებლობებს. ვფიქრობ, ყველა როლი საინტერესოა. არ არსებობს ცუდი როლი, მაგრამ არიან პერსონაჟები, რომლებიც ძალიან გგვანან. გამოვარჩევ რეჟისორ ოთარ ქათამაძის მიერ ხულოს თეატრში დადგმულ სპექტაკლს „ომის ღმერთი“, რომელიც ძალიან მიყვარს. მასში საუბარი არა მარტო ქართულ, არამედ გლობალურ პრობლემაზეა. პერსონაჟი, რომელსაც ვთამაშობდი, ჩემთვის ძალიან ნაცნობია, რადგან მის მსგავსს არაერთხელ შევხვედრივარ. ის არის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს არარეალურ, თავისივე გამოგონილ სამყაროში, მაგრამ ჯამში შეუძლებელია, ვინც რეალურად არ ხარ, ის დიდ ხანს იყო. ამ როლმა ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა და მომიტანა მაყურებლის დიდი სიყვარულიც. კიდევ ერთი როლი მახსენდება, - 2013 წელს ვითამაშე ზურაბ მდინარაძის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „ორაგულები“, რომელიც ეხებოდა ოკუპაციას, აფხაზეთიდან დევნილ ადამიანებს. ვინაიდან ხულოს დასში ცოტა მსახიობი იყო, მომიწია ოთხი როლის თამაში. ეს იმდენად საინტერესო გამოდგა ჩემთვის, ვთვლი, რომ სტარტი, როგორც მსახიობმა, სწორედ მაგ სპექტაკლიდან ავიღე, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე რამდენიმე როლი მქონდა ნათამაშები.

- როგორც ვიცით, სწორედ სპექტაკლში „ომის ღმერთი“ შესრულებული როლისთვის ახლახან დაგაჯილდოვეს...

- დიახ, ამ სპექტაკლმა მომიტანა აღიარება, ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ დამაჯილდოვა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. მინდა მადლობა ვუთხრა ოთარ ქათამაძეს, რომ არა მის მიერ შერჩეული პიესა და დაუღალავი შრომა ჩვენთან ერთად, ეს შედეგი ვერ იქნებოდა.

- აქვე გკითხავთ ახალგაზრდა რეჟისორებზე, რომლებსაც ახალი ხედვები, მეტი მრავალფეროვნება მოაქვთ, რაც თეატრს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის, თუმცა ხშირად თეატრები არ, ან ვერ იწვევენ მათ...

- სამწუხაროდ, რეგიონული თეატრების ფინანსური შესაძლებლობები არ იძლევა ბევრი რეჟისორის მოწვევის საშუალებას. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რეჟისორების კრიზისი გვაქვს საქართველოში. ვინც წარმატებულია ან უნდა ყოფილიყო წარმატებული, სამწუხაროდ, ემიგრაციაში წავიდა, რადგან ხშირ შემთხვევაში არ არის გასაქანი აქ მათთვის. თუმცა მაინც შეიძლება ისეთ რეჟისორებს გააკეთებინო თეატრში სპექტაკლები, ვინც არ ჩანს, მაგრამ აქვს ღირებულის შექმნის პოტენციალი. მუდმივად ძიებაში უნდა იყოს თეატრი. უბრალოდ, არსებობისთვის იარსებოს, არასწორია, თეატრში მუდმივი დუღილი უნდა იყოს, ყოველ კვირაში უნდა იმართებოდეს სპექტაკლები.

- თეატრებს ურჩევნიათ უკვე ათასგზის დადგმული სპექტაკლების დადგმა, თითქოს ახლის დადგმის ეშინიათ, რისკებს უფრთხიან და ძალიან იშვიათად, ან სულ არ მიმართავენ ქართველი დრამატურგების პიესებს.

- ჩვენ გვყავს საკმაოდ ნიჭიერი, ახალგაზრდა დრამატურგები. აუცილებელია, თეატრმა აუწყოს ფეხი თანამედროვე ცხოვრებას, თანამედროვე დრამატურგიას. გავიგეთ, რომ კლდიაშვილი გენიალურია, რომ შექსპირი ზეგენიალურია, მაგრამ ესენი უკვე მრავალჯერ დაიდგა. ძალიან ბევრი საინტერესო პიესაა, რომლის დადგმაც შეიძლება, მაგრამ თეატრების უმრავლესობას უჭირს სიახლის მიღება, რადგან სარისკოდ თვლიან. არადა, თეატრი ძიებაა, არ უნდა შეგვეშინდეს რისკების. ყველა თეატრს, რეჟისორს, მსახიობს ყოველთვის ყველაფერი თავისთავად არ გამოუვა, მაგრამ ძიების პროცესის შეჩერება თეატრს მოუტანს ზიანს.

- საზოგადოება გიცნობთ როგორც მეამბოხე ადამიანს, რომელიც ყოველთვის დგას ქვეყნის სადარაჯოზე. ამას ადასტურებს ისიც, რომ ომის ვეტერანი ხართ. რა გასწავლათ და დაგანახათ ომმა?

- ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა სამშობლო, რაც დედაჩემის დამსახურებაა, მან პატრიოტ ადამიანად გამზარდა. თან იმ დროს დავიბადე, როცა ჩემს ქვეყანას ძალიან უჭირდა. ომში წასვლით, პირველ რიგში, საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ შემიძლია, სამშობლოს გავუკეთო რაღაც და, თუ საჭირო გახდა, დავუთმო საკუთარი სიცოცხლეც კი. მიუხედავად იმისა, რომ არ მიწევდა ჯარში წასვლა, ვინაიდან დედისერთა ვარ, ჩემი სურვილით წავედი. მაშინ ჯერ არ იგრძნობოდა ომის საშიშროება, მაგრამ ისეთ ტემპში მიდიოდა ქვეყნის განვითარება, რომ ჩანდა, აუცილებლად მოინდომებდა მტერი ჩვენს შეჩერებას. არ შემიძლია ჩემი ქვეყანა ომობდეს და მე სახლში ვიჯდე, ჩვენმა „ერთმორწმუნე“, „კეთილისმსურველმა“ მეზობელმა დაგვიტრიალა ჯოჯოხეთი - მიწები წაგვართვა, ბევრი სიცოცხლე შეიწირა, ბევრი ლტოლვილად აქცია, მაგრამ, ჩვენმა ქვეყანამ გმირულად იბრძოლა. 2008 წლის ომმა ჩემში სამშობლოს სიყვარული გააათასმაგა, ბევრ ტკივილთან ერთად, დიდი სიამაყე დამიტოვა. სიამაყე, რომ ჩვენს ქვეყანას ისეთი მებრძოლები ჰყავს, რომლებიც უკან არასდროს დაიხევენ. მიმაჩნია, რომ იმის დავიწყება, ახლო წარსულში როგორ მოექცა შენს ქვეყანას ოკუპანტი რუსეთი, დიდი ნაძირლობაა და სხვა არაფერი.

- როგორ ფიქრობთ, დღეს სად ვდგავართ, რას ვითხოვთ?

- დღეს ჩვენ - ახალგაზრდები ახალს არაფერს ვითხოვთ, მხოლოდ საკუთარ თავს. ჩვენ ვართ ევროპელები, ჩვენი კულტურა ბევრ ევროპულ ქვეყანაზე მაღლა დგას. უბრალოდ, ცუდი მეზობელი აღმოგვაჩნდა და, სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნითაც ბევრი მოკავშირე იპოვა, რამაც ახალგაზრდები გვაიძულა, ჯერ ომში ჩავრთულიყავით უწვერული ბიჭები, შემდეგ საშინელ პოლიტიკურ ქარაშოტებს გადაევლო ჩვენს თავზე. სამწუხაროდ, დღესაც სურთ, უარი გვათქმევინონ საკუთარ თავზე, ევროპაზე, იმაზე, რაც რეალურად ვართ შინაგანად. ევროპული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფუძნებულია ქართულ კულტურაზე, ამიტომ ახალგაზრდები ვინც გავიდა და მოითხოვა ევროპული ღირებულებების ერთგულება, არიან გმირები, მაგრამ არ არის ეს ყველაფერი საკმარისი. ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. უნდა ვიყოთ ფხიზლად, თორემ ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდებით. თუ ყველანი გავიქცევით ამ ქვეყნიდან და ავყვებით რუსეთის მიერ შემოგდებულ ნარატივს - არ მოგწონს, წადი, ცუდად დავასრულებთ. სად წავიდე? მინდა ვიცხოვრო როგორც ევროპელმა.

- ის, რაც თავს ყველაზე კარგად გაგრძნობინებთ...

- ჩემი არაჩვეულებრივი მეგობრები, რომლებთან ერთად დროის გატარებაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი მეგობრები, ძირითადად, ხელოვანები არიან, ძალიან ნიჭიერი ადამიანები. მათთან ერთად მუსიკის შექმნა, მუსიკის მოსმენა, ფილმის ყურება, საუბრები არის ის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და მსიამოვნებს.

- თავისუფლების ფასი...

- თავისუფლება, პირველ რიგში, საკუთარი თავის სიყვარული და პატივისცემაა. თავისუფლებაა აკეთო, რაც გინდა, ოღონდ ამით სხვა არ დააზიანო. თავისუფლების გარეშე არ გამოდის არცერთი საქმე, თავისუფლება ყველა ადამიანის შესაძლებლობაა. თუ თავისუფალი არ ხარ, ვერ იპოვი საკუთარ თავს, ვერც იმას აღმოაჩენ, რა შეგიძლია. თავისუფლებას მოაქვს სიყვარული, თავისუფლებას მოაქვს არჩევანის საშუალება და ის, რასაც ირჩევ, ფიქრობ და საკუთარი შეხედულებით აკეთებ, უკვე ბადებს სიყვარულს. გამოდის, რომ სიყვარული თავისუფლებაა და თავისუფლება სიყვარულია.

- როგორია თქვენეული ჰარმონია გარესამყაროსთან?

- მთაში ვარ გაზრდილი, არაჩვეულებრივ ადგილას, სადაც საოცარი ბუნება და სილამაზეა. საყვარელ ბაბუასა და ბებიასთან ერთად დავდიოდი ხოლმე იალაღებზე, სადაც ერთადერთი გასართობი ბუნებაში ხეტიალი იყო. სწორედ მაგ პერიოდიდან დაიწყო ჩემმა ცნობიერმა სამყაროს შეცნობა და ახლაც, როდესაც განმარტოება, მომინდება, მივდივარ მთაში, რაც ძალიან მმუხტავს და დიდი ხნის სამყოფ ენერგიას მმატებს.

- გასული ეპოქიდან ვისთან ერთად ისურვებდით ჭიქა ღვინოსთან საუბარს?

- მიხეილ ჯავახიშვილთან ვისაუბრებდი სიამოვნებით, რომელმაც, ჩემი აზრით, ძალიან კარგად გაიცნო ქართველი კაცის ბუნება. მან ზუსტად იცოდა პრობლემების გადაჭრის გზები. უბრალოდ, ცუდ დროს მოუწია ცხოვრება და სწორედ იმიტომ, რომ ფლობდა საჭირო ინფორმაციებს, დახვრიტეს. ბუხართან, ჭიქა ღვინოსთან ერთად, დიდხანს ვისაუბრებდით საქართველოზე, ქართველზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოვიდეთ იმ პრობლემებიდან, რაც მიხეილ ჯავახიშვილსაც აწუხებდა და ეს წუხილი დღესაც გვაერთიანებს მასთან.

- მუსიკის როლი - თქვენს ცხოვრებაში...

- ყველა ასაკში სხვადასხვანაირად აღიქვამ სამყაროს. გარდატეხის ასაკში, როცა ამბოხი ზენიტში იყო ჩემში, ვუსმენდი ალტერნატიულ როკს, რომლის გარეშეც ვერ ვცხოვრობდი. შემდგომმა წლებმა ქართული ფოლკლორი უფრო შემაყვარა. მოგვიანებით კი გამოჩნდა უმაგრესი და უდიდესი მუსიკოსი ნიაზ დიასამიძე, რომლის გარდა დღეს, უბრალოდ, ვერავის ვუსმენ. იმდენად ზუსტად მღერის იმაზე, რაც არის საქართველო, რომ სრულებით მავსებს მისი შემოქმედება.

იხ. მე-6 გვ.

> ***„ძალიან ბევრი საინტერესო პიესაა, რომლის დადგმაც შეიძლება, მაგრამ თეატრების უმრავლესობას უჭირს სიახლის მიღება, რადგან სარისკოდ თვლიან. არადა, თეატრი ძიებაა, არ უნდა შეგვეშინდეს რისკების. ყველა თეატრს, რეჟისორს, მსახიობს ყოველთვის ყველაფერი თავისთავად არ გამოუვა, მაგრამ ძიების პროცესის შეჩერება თეატრს მოუტანს ზიანს***

«მე ვარ ზურაბი»...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

პროფესიით ექიმი, შპს «ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის» დირექტორი, ექიმი-უროლოგი, პოეტი, პოლიტიკოსი, «საპატიო ქუთაისელი», ილია მეორის, იაკობ გოგებაშვილის, ზურაბ გორგილაძის პრემიების ლაურეატი, შოთა რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ისრაელის საქველმოქმედო ორგანიზაციების «გულთა კავშირისა» და «ნერგის» ვიცე-პრეზიდენტი, ქართული კულტურის ქომაგი, ამაგდარი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია «გულანის» აკადემიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მენეჯმენტის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ლექტორი, მენეჯმენტის ფინანსური ანგარიშებისა და აუდიტის დოქტორი, 2500-ზე მეტი, მათგან 250-მდე ზურაბ გორგილაძის ლექსების ზეპირად მცოდნე, - ნაწილობრივ ასეთია ქუთაისელი ***მერაბ კვიცარიძის*** *რეგალიები.*

შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილის, მწერალ ვახტანგ გოგრაჭაძის მოწვევით, მერაბ კვიცარიძე აჭარის მთიანეთში იმყოფებოდა. თავდაპირველად, შუახევში გაუმართეს საინტერესო შეხვედრა. საპატიო სტუმარს მიესალმნენ ვახტანგ გოგრაჭაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები მირიან აბაშიძე, რუსუდან შავაძე, შუახევის საჯარო სკოლის დირექტორი მზია გოგაძე, პედაგოგები ლია ქამადაძე, მადლენა ზოიძე, პუბლიცისტი ოთარ ცინარიძე, დაბადებული პოეტები ლინდა და ანრი მუთიძეები, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსი ფრიდონ დავითაძე.

მერაბ კვიცარიძე საზოგადოების წინაშე საინტერესო ლექციით წარსდგა. იგი თურქეთში მოღვაწე ქალბატონ მერი დიასამიძესთან ერთად აჭარის მთიანეთის ღირსშესანიშნაობებს გაეცნო. იყო ბიზნესმენ ლევან (ასლან) მჟავანაძის «მომავლის სოფელში». ინტერვიუ მასთან შუახევში ჩავიწერეთ.

- თუ გაიხსენებთ ზურაბ გორგილაძის პირველ ლექსს, რომელიც დაიზეპირეთ?

- პირველად დავიზეპირე «სიბერის ლექსი», მერე - «სიტყვავ, ბატონო», «სულხან-საბა» («აჭარაში გამძარცვეს ფრიად»)... ერთხელ კონკურსის ჟიურის წევრი ვიყავი, ბავშვები ლექსებს კითხულობდნენ, თანაც ხმამაღლა. ერთმა დედაზე წაიკითხა ლექსი ძალიან ხმამაღლა და ყველამ მაღალი ქულით შეაფასა, მე - პირიქით. რომ მკითხეს, რატომ მოიქეცით ასეო, ვუთხარი: ლექსში დედას და ღმერთს არ უნდა უყვირო. როცა «ჩაუმქრალ სანთლებს» კითხულობენ აჭარაში, თუნდაც სხვაგან, ყოველთვის გაჰყვირიან, ასე ჰგონიათ, კარგად კითხულობენ. მე ყველაზე კარგად «სიტყვავ, ბატონოს» ვკითხულობ, ასევე, «ქალის სამლოცველოს», ბევრ სხვას.

- საზოგადოებას კარგად ახსოვს ის დღე, როდესაც ბათუმში ზურაბ გორგილაძის პრემია საზეიმო ვითარებაში გადმოგცეს. ამ აღიარებას როგორ აფასებთ?

- ამ პრემიის ლაურეატობა ჩემთვის დიდი პატივია. რეგალიების მრავალ ჩამონათვალში ამ პრემიას პირველ ადგილზე ვაყენებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ვარ და ვიქნები ზურაბ გორგილაძის და პაოლო იაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემელი. ხშირად ვამბობ: ქართული პოეზიის მერიდიანი გადის ჩარგალზე, სადაც ვაჟა-ფშაველა დაიბადა, გრძედი - გალაკტიონ ტაბიძის ჭყვიშზე, ხოლო განედი - ხალაზე, სადაც დაიბადა ზურაბ გორგილაძე.

- «ფოთლებზე სიცხე გაწოლილიყო, ცაზე ეკიდა წვიმა მძივებით, მთვარე ღრუბლებთან ტიროდა სატრფოს, მზეს დავარცხნილი ჰქონდა სხივები» - ეს და სხვა სტროფები წიგნად თუ გაქვთ აკინძული?

- უკვე გამოცემულია პირველი წიგნი «აქედან ზღვამდე შორია», მეორეს ჰქვია «მთვრალი მეტაფორები». ალბათ, იკითხავთ, რატომ ჰქვია ასეთი სახელი? მთვრალი შემასმენელია. მას შემასმენელი იმიტომ ჰქვია, რომ სხვას შეასმინოს. რაც შეეხება მეტაფორას, მასაც თავისი წესი აქვს. სტროფი, რომელიც კითხვაში მოიშველიეთ, ლექსიდან «ცისარტყელა» არის აღებული. სხვათა შორის, კიდევ ერთი «ცისარტყელა» გამახსენდა, შოთა ნიშნიანიძის:

«ჩიტებმა ყივყივით ცის თაღი მოხაზეს,
ქარმა სიმინდებში თავი ისახელა,
ცას სილა გააწნეს გვალვისთვის ლოყაზე,
იტირა, თითებივით დააჩნდა ცისარტყელა».

- შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» გადაწერის თქვენეული ვარიანტი გაქვთ შერჩეული. როდის ვიხილავთ მას სისრულეში მოყვანილს?

- აკაკი შანიძის რედაქციით გამოცემული «ვეფხისტყაოსანი» 1669 სტროფისგან შედგება. მასთან ერთად გამოცემაში მონაწილეობდნენ კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე. იგი 1957 წელს, საიუბილეოდ გამოიცა. ამ ღირსეული მეცნიერებიდან ერთის დასახელებაც კი საკმარისი იქნებოდა. ყველაზე სარწმუნო მათი გამოცემაა. მეც ამ წიგნით ვხელმძღვანელობ. ეს საქმე 9 წლის წინ, ფერისცვალების ღამეს წამოვიწყე. აივანზე გამოსულს შოთა რუსთაველი გამომეცხადა. ზეპირად წარმოვთქვი «ავთანდილის ანდერძი». გამიჩნდა ხელნაწერი «ვეფხისტყაოსნის» გაკეთების სურვილი. ამ წიგნს ასე დავარქვი: «ვეფხისტყაოსანს» წერს საქართველო» უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ვეახელი. მან დამლოცა. პირველი სტროფი ჭაბუა ამირეჯიბმა გადაწერა. უკვე 1322 სტროფია გადაწერილი. მთიანეთში ყოფნისას კიდევ ორი პიროვნება შევარჩიე. აქ ყველა პროფესიის ადამიანების ხელნაწერებს იხილავთ. ეს სახალხო პროექტია. 41 ქვეყანაში ვიმოგზაურე. ჩანთა ყველგან დამაქვს. ვწერ ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც შოთა რუსთაველის გზით ცხოვრობენ და მის მსგავსად ქართველობენ. მე გულიან ადამიანებთან მაქვს ურთიერთობები. თავადაც სამი გული მაქვს. სახლისთვის, სამსახურის და საუკეთესო ადამიანებისთვის, რომლის კარები ყოველთვის ღიაა.

- ქუთაისელებს იუმორი არ გაკლიათ...

- იუმორი საოცარი გრძნობაა, მის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. ქუთაისი, პირველ რიგში, პოეზიის, ინტელექტის, განათლების ქალაქია. მთავარზე უმთავრესი მაინც «ცისფერყანწელები» იყვნენ. რომელი ერთი გავიხსენო... სხვათა შორის, ჩემს პროფესიასთან მრავალი იუმორია დაკავშირებული. შემთხვევას გავიხსენებ: პაციენტი მელოდება დერეფანში, ხონიდან ჩამოსული. ადმინისტრაციის უფროსმა მითხრა, პაციენტი გელოდებათო. უცებ დერეფანი ვერ გავიხსენე და ვუთხარი: ჰოლში მოდი-თქო. საღამოს 6 საათია და მირეკავს: ხონში ვდგავარ ექიმო და სად ხარო? ერთი დიაბეტიანი პაციენტი მყავდა, ქვედა ტანზე ნახეთქები ჰქონდა. გამოვუწერე მალამო ასოზე წასასმელად, დღეში ორჯერ. მეკითხება: ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ წავისვაო. კითხვა კიდევ რომ გამიმეორა, ვუთხარი: შუა ჭამაში-თქო.

- წარმატებული მედიკოსი ხართ, ქუთაისელთა მაჟორიტარიც. პოლიტიკაში საქმეები როგორ მიგდით?

- როდესაც კითხვას მისვამენ: როგორ ვარ? პასუხი მარტივია - საქართველოსავით. შენს ქვეყანაზე უკეთესად კაცმა არ უნდა იცხოვრო. საქართველოა პოლიტიკა, საქართველოა ყველაფერი, რასაც ჭეშმარიტი ადამიანი ქმნის. მეუღლეს ქეთევანი ჰქვია. 25 წლისამ ვიქორწინე. იმ დღესვე ვუთხარი: შენ სამი კაცის ცოლი უნდა იყო - ექიმის, თამადის და პოეტის. სახელი ქეთევანიც მართებულად დაგარქვეს. ქეთევან დედოფალი ერთხელ აწამეს, შენ კი ჩემს ხელში მთელი ცხოვრება ტანჯვა გელოდება-მეთქი. ამ სამს კიდევ მეოთხე დაემატა, როცა პოლიტიკაში წავედი. ახლა შუშანიკს ვეძახი. ქეთევანივით წამება დაამთავრა და შუშანიკივით ეწამება.

- დიდი მეგობრობა და ლექსთა თქმაში პაექრობა გაკავშირებთ ვლადიმერ მახარაძესთან...

- პაექრობა გრძელდება და მეგობრობა იმარჯვებს. ვლადიმერი ჩემი უსაყვარლესი მეგობარი და ღირსეული ქართველია. იგი კარგი ბიზნესმენია, მრავალი ადამიანიც ჰყავს დასაქმებული. წარმატებული მეცნიერი, სანიმუშო ოჯახის პატრონი, ქართული ლექსის მოტრფიალე - ასე შემოვიდა იგი ჩემს ცხოვრებაში და ასე გრძელდება.

- ვინ მოგხიბლათ აჭარის მთიანეთით?

- ვინმეს ჩარევა არ არის საჭირო, რომ მთიანი აჭარით მოვიხიბლო. უკვე მეგობრობა, ოჯახური ურთიერთობა მაკავშირებს შუახეველ მწერალ ვახტანგ გოგრაჭაძესთან. ჯერ ვლადიმერი, ახლა ვახტანგი, კიდევ - ქალბატონი მერი დიასამიძე, რომელიც თურქეთის რესპუბლიკაში ქართულ საქმეს აკეთებს და ქველმოქმედებითაცაა დაკავებული. ერთადაც ბევრს გავუწიეთ თანადგომა. ასეთი ადამიანების მშობლიურ კუთხეში ჩამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია. აჭარის მთიანეთში პირველად არ ვარ. ადრე ხულოშიც გახლდით. ჭვანის გადასახვევთან რომ მივედით, აწ გარდაცვლილი ბიზნესმენი სანდრო შარაშიძე გამახსენდა, ცრემლიც მომერია... 17 მაისს ფრიდონ და ზაზა ხალვაშების დაბადების დღე იყო. ზაზას პროექტში «ვეფხისტყაოსანს» წერს საქართველო» მონაწილეობა აქვს მიღებული. დიდი პატივია, რომ გეგელიძეების მამულს ვესტუმრები, სიყვარულსა და მეგობრობას წავიღებ აქედან.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- ორი წლის წინ მამა წუთისოფლიდან წავიდა: მისდამი სიყვარული ლექსით «მამაჩემი» გამოვხატე:

«ბავშვობის სურათები თავიდან დავალაგე,
რაღაც სხვანაირად მეტკინა ანაცერი,
ნუ გეშინიაო, ხმა რომ შემომესმა,
ათასში გავარჩიე, ეს იყო მამაჩემი!».

მამა პროფესიით კვების ტექნოლოგი იყო, ქობულეთში მუშაობდა. მრავალი მეგობარი ჰყავდა მაშინდელ «ცეკავშირში». ამ ამბავს პირველად ვყვები: პატარა გახლდით, ფინჯანი გამიტყდა. წამიყვანეს მაღაზიაში საყიდლად. ებრაელს კარგი ჭურჭელი ჰქონდა. ფინჯარი რომ იყიდა, მამამ ჩემს სახელზე ლატარიის ბილეთიც გამოაყოლა, რომლითაც მსუბუქი ავტომობილი «ვოლგა» მოვიგე. ქობულეთში ამ მარკის მანქანა მხოლოდ 4 პიროვნებას ჰყავდა, მათ შორის - მამაჩემს. იქიდან მოყოლებული, აჭარასთან განსაკუთრებული სიყვარული მაქვს. ამიტომაც თავს შინაურად მივიჩნევ. მეუღლეზე უკვე გითხარით. და - ირმა, ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის დოქტორია, - ონკოლოგიურ რადიოლოგიაში მუშაობს. სიძე ჟურნალისტი დავით კიკალიშვილია. შვილი გიორგი, გერმანიაში დოქტორანტურაში სწავლობს. იგი მომავალი ნეიროქირურგია.

- ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, უკრაინასა და ბელორუსში მოქმედი პარტიზანული რაზმის წევრი, მრავალი ნაწარმოების ავტორი, - ასე იცნობდა საზოგადოება დავით კვიცარიძეს. მასთან რა გაკავშირებთ?

- დავითი მამას ბიძაშვილი იყო. 32 წლის განმავლობაში ქუთაისელ მწერლებს თავკაცობდა. ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ. იგი ავტორია ლექსის «სავარდო და სამაისო». სიმბოლურია მისი გარდაცვალების დღეც - 2 მაისი. ამ დღეს «ქუთაისობა» იმართება. დასაფლავებულია ქუთაისის მწვანეყვავილას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დავითს ღირსეულ წინამორბედად მივიჩნევ.

- «მწვანეყვავილა» ჟურნალიც გაქვთ ქუთაისელებს...

- არა მარტო «მწვანეყვავილა». ქუთაისში გამოდის «განთიადი». იგი თავის დროზე აკაკი წერეთელმა დააარსა. ასევე საინტერესო გამოცემაა «უქიმერიონი». ასე რომ, ქუთაისი პოეზიის ქალაქია. ჩვენი საუბარი ლექსის ერთი სტროფით მსურს დავასრულო, რომლის ავტორიც მე გახლავარ:

«არა მარტო სავარდოს და სამაისოს,
მიწას რჩეულს, უფლის კალთით ბარაქიანს,
ჩვენ ვუმღერით სიყრმის წლებს და მოგონებებს,
ქუთაისი სიყვარულის ქალაქია».

❝ ვარ და ვიქნები ზურაბ გორგილაძის და პაოლო იაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემელი. ხშირად ვამბობ: ქართული პოეზიის მერიდიანი გადის ჩარგალზე, სადაც ვაჟა-ფშაველა დაიბადა, გრძედი - გალაკტიონ ტაბიძის ჭყვიშზე, ხოლო განედი - ხალაზე, სადაც დაიბადა ზურაბ გორგილაძე

- ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალურ სასწავლო ცენტრს რა ადგილი უკავია ქართული მედიცინის სფეროში?

- ქუთაისის ეს სასწავლო ცენტრი საქართველოში პირველი სამედიცინო დაწესებულებაა. მისი ისტორია 1892 წლიდან იწყება. დიმიტრი ნაზარიშვილი ცნობილი ექიმი და მეცენატი იყო. იგი ამასთანავე, ქუთაისის საკრებულოს წევრი ან «ხმოსანი» გახლდათ. მას დიდი როლი აქვს კურორტ წყალტუბოს განვითარებაში. კლინიკა უპოვრებს უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევდა. მისი მეუღლე ტატიანა ნაზარიშვილი ბავშვთა ფონდს ხელმძღვანელობდა, ქალიშვილი ელო ფრანგული ენის სპეციალისტი იყო, რომელსაც «ცისფერყანწელმა» სანდრო ცირეკიძემ ფრანგულიდან რამდენიმე ნაწარმოები ქართულად ათარგმნინა. კლინიკა ამჟამად მრავალპროფილიანია, პაციენტებს უწევს პირველი და მეორე ხარისხის ამბულატორიულ მომსახურებას, ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. საქართველოში ყველაზე ქველმოქმედი კლინიკაა, რომლის საქმიანობა უცხოეთშიცაა ცნობილი.

- ნაზარიშვილებსა და კვიცარიძეებს ნათესაური ურთიერთობა ხომ არ გაკავშირებთ?

- არანაირი. ერთადერთი ისაა, რომ ამ კლინიკას 1996 წლიდან ვხელმძღვანელობ.

- იმერეთის გულში დაბადებული, დიდ მოკრძალებას იჩენთ აჭარისადმი. ეს დამოკიდებულება სათავეს საიდან იღებს?

- აჭარისადმი დამოკიდებულება მსურს ერთი ფრაზით ვთქვა: «მე ვარ ზურაბი». მაქვს სამი ადგილი, სადაც ზურაბის წიგნები მიდევს: ყოველთვის მაქვს მანქანაში, სასთუმალთან და მესამე - სამუშაო კაბინეტში. მისი ლექსების უმრავლესობა ზეპირად ვიცი. მე ზურაბის გარეშე არსად მივდივარ. ჩემს სამუშაო კაბინეტში ნიღაბს ნახავთ. იგი თავის დროზე ზურაბ გორგილაძეს აუღეს. ასეთი სამი ნიღაბი არსებობს. ერთი მეუფე დიმიტრისთანაა, ერთი - ზურაბის სახლ-მუზეუმში, ლეილასა და თათიას განკარგულებაში, მესამე - ჩემთან. ჩემთან არსებული ნიღაბი სტომატოლოგმა გივი დუმბაძემ აიღო, ერთ სუფრასთან რომ ვიჯექით ზურაბ გორგილაძის პოეზიაში ჩართული და საჩუქრად მე მერგო. ზურაბ გორგილაძის პოეზიამ დამამეგობრა შუახევის მკვიდრ ვლადიმერ მახარაძესთან, რომელმაც ზურაბის პრემია დააარსა.

ვინ მოემსახურება რუსულ ავიაკომპანიას?

„ბიზნესპრესნიუსის“ინფორმაციით, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია „ტავ ჯორჯია“ რუსულ ავიაკომპანია „აზიმუტის“ მიწისზედა მომსახურებას არ აპირებს და განმარტავს, რომ ამას „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“ გააკეთებს

აღვნიშნავთ, რომ სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, კომპანია „აერო ჰენდლინგ ჯორჯია“ ამა წლის 21 აპრილს დაფუძნდა და მის 60%-იან წილს დავით კვარაცხელია, 40%-იან წილს კი დავით წივწივაძე ფლობენ.

„თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ოპერატორი კომპანია „ტავ ჯორჯია“ განმარტავს, რომ ფრენების განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვის გაცემა ავიაკომპანიებზე მის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

აღნიშნულ ნებართვებს გასცემს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. „ტავ ჯორჯია“ ავიაკომპანიებს აწვდის სხვადასხვა სერვისს, მათ შორისაა მიწისზედა მომსახურება (ე. წ. Ground Handling). მედიასაშუალებების ინტერესის გათვალისწინებით, განვმარტავთ, რომ Azimuth Airlines-ის შემთხვევაში მიწისზედა მომსახურებას განახორციელებს კომპანია „Aero Handling Georgia“ - წერია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცნობისთვის: რუსეთის პრეზიდენტის მიერ ავიაემბარგოს მოხსნის გადაწყვეტილების შედეგად, ავიაკომპანიებს რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი რეისების განხორციელების შესაძლებლობა 15 მაისიდან მიეცათ. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირ ავიარეისებზე ნებართვა 2 კომპანიაზე უკვე გასცა. გუშინს შემდეგ ფრენებს რუსული „აზიმუტი“ იწყებს - კვირაში 7-ჯერ, 20 მაისიდან კი რეისებს „ჯორჯიან ეარვეისი“ განახორციელებს - ისიც კვირაში 7-ჯერ.

ამირან ბურიელიძე

სცენა მისთვის არის ადგილი, სადაც სულის სიშიშვლეს ვერ გაექცევა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გაგაცნობთ ბათუმელ საოპერო მომღერალ ***გივი გიგინეიშვილს.*** *მუსიკალური განათლება ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სასწავლებელში მიიღო, კონსერვატორიაც ამავე სასწავლებელში დაამთავრა. მაგისტრატურაზე სწავლა კი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გააგრძელა.*

- პირველი ნაბიჯები - ამ სფეროში.

- 11 წლის ვიყავი, ბათუმის ფოლკლორულ გუნდში რომ ამიყვანეს. ხელმძღვანელი რამინ მიქაბერიძე გახლდათ. პირველად მაშინ მივხვდი, რომ სიმღერა მაინტერესებდა.

- რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

- ბავშვობაში მსახიობობა მინდოდა, თუმცა სახლში დედა ფორტეპიანოს თანხლებით მამღერებდა და დაკვრასაც მასწავლიდა. ფოლკლორს 4 წელი ვმღეროდი, შემდეგ კი მუსიკალურ სასწავლებელში ჩავბარე. რომ ვთქვა, მანამდე ოპერა მაინტერესებდა-მეთქი, ტყუილი იქნება. ერთ დღეს კლასში კონცერტმაისტერი შემოვიდა. ქართული რომანსი და ნეაპოლიტანური სიმღერა ვიმღერე. აი, მაშინ რომ „მოვიწამლე“, მას შემდეგ აქ ვარ.

- რომელ ოპერებში გაქვთ მიღებული მონაწილეობა და რა როლს ასრულებდით?

- ჩემი პირველი ოპერა დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“ იყო, სადაც დულკამარას როლი შევასრულე. 2012 წელს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტმა დადგა ეს ოპერა. შემდეგ თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში შევასრულე დონ ბაზილიოს როლი როსინის ოპერაში „სევილიელი დალაქი“, კოლინი - პუჩინის „ბოჰემაში“, შემდეგ თბილისის ოპერის თეატრში - ძუნიგა - ბიზეს „კარმენში“, ფრატე - ვერდის „დონ კარლოსში“, პუჩინის „ტოსკაში“ - საგრესტანოს როლი... რამდენიმე დღის წინ კი ცანგალას არია ვიმღერე ფალიაშვილის „დაისში“.

- რომელია თქვენთვის ყველაზე საყვარელი როლი და რით არის გამორჩეული?

- რაც მიმღერია, მათ შორის დულკამარას პარტია მიყვარს „სიყვარულის ნექტარიდან“. სახასიათო როლია, კომიკური პერსონაჟია, მუსიკაც არაჩვეულებრივია. პუჩინის „ბოჰემაში“ კოლინიც მიყვარს... ბევრია, ერთზე ვერ შევჩერდები.

- საუკეთესო მეწყვილე, ვისთან ერთადაც გიმღერიათ...

- ძალიან ბევრ კარგ მომღერალთან ერთად მიმღერია და გამორჩევა ნამდვილად გამიჭირდება.

- დრამატულ სპექტაკლებშიც გაქვთ მიღებული მონაწილეობა. ის პერიოდი რომ გაიხსენოთ...

- საოცარი იყო 2008-2013 წლები. რეჟისორ ოთარ ქათამაძის შექმნილ მოყვარულთა დასში ვიყავი გაერთიანებული და პირველი, რაც დავდგით, ტურაშვილის „ორი კუნძული შავ ზღვაში“ იყო. ამას მოჰყვა გაბრიაძის „უცხო ჩიტი ანუ შერეკილები“. შემდეგ ოთარის პიესა „აივანი“ დავდგით, ასევე კარლო გოლდონის „სასეირო ოინები“, ბოლოს კი ისევ რეზო გაბრიაძის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“. იყო სხვა სპექტაკლებიც, პატარა როლები... ბოლოს, 2013 წელს, მარივოს „სიყვარულით გაკეთილშობილებულ არლეკინში“ ვითამაშე, რომელიც ბათუმის დრამატულ თეატრში პაატა ციკოლიამ დადგა.

- გაქვთ თუ არა საოცნებო როლი?

- ბევრია ასეთი როლი, მაგრამ როგორც ბანი, მაინც ვიტყვი, რომ მწვერვალი არის ფილიპ მეორის როლი ვერდის „დონ კარლოსში“.

- სცენა თქვენთვის არის...

- ადგილი, სადაც სულის სიშიშვლეს ვერ გაექცევი, ამიტომ, როცა სცენაზე დგახარ, ყველაზე მეტად გულწრფელობაა საჭირო. მაყურებელი ყველაფერს ხედავს. სცენაზე ხარ ის, ვინც ხარ და არა ის, ვინც გინდა, იყო, ამიტომ მიყვარს იქ დგომა... 2-3-საათიანი ოპერა ზოგჯერ 5 წუთში სრულდება ჩემთვის. ბედნიერების წუთები სწრაფად გადის.

- გერმანიის ფესტივალზე როგორ მოხვდით?

- „იმლინგის ფესტივალის“ შესახებ სრულიად შემთხვევით გავიგე - კონსერვატორიის დერეფანში მითხრეს, გერმანელი დირიჟორი პუჩინის „ბოჰემის“ მოსმენას ატარებს და მომღერლებს ეძებსო. მეც მივედი, ვიმღერე და... ამიყვანეს. იგივე ფესტივალზე შევასრულე ფრატეს პარტია „დონ კარლოსში“, საინტერესო გამოცდილება იყო.

> *„...სულის სიშიშვლეს ვერ გაექცევი, ამიტომ, როცა სცენაზე დგახარ, ყველაზე მეტად გულწრფელობაა საჭირო. მაყურებელი ყველაფერს ხედავს. სცენაზე ხარ ის, ვინც ხარ და არა ის, ვინც გინდა, იყო, ამიტომ მიყვარს იქ დგომა... 2-3-საათიანი ოპერა ზოგჯერ 5 წუთში სრულდება ჩემთვის. ბედნიერების წუთები სწრაფად გადის*

- ესპანეთსა და იტალიაზეც მოგვიყევით, რა წარმატებას მიაღწიეთ იქ? როგორც ვიცი, პანდემიის პერიოდი დაგემთხვათ.

- ეს იყო სამი საოპერო თეატრის - კანარის კუნძულების ტენერიფეს, თბილისის ოპერისა და ბალეტის და ბოლონიის თეატრების, ასევე „ევროპა კრეატივას“ საერთო პროექტი. უცხოეთის რამდენიმე ქალაქში, ასევე, თბილისშიც 180 მომღერალს მოუსმინეს და აქედან 10 აგვიყვანეს. ერთადერთი ქართველი გახლდით. 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გავემგზავრე ტენერიფეში, სადაც ჩამიტარდა მასტერკლასები როგორც რეჟისორთან, ასევე ცნობილ მომღერალ მარიელა დევიასთან. პარალელურად, დავდგით დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი“. იქ ორმა შემადგენლობამ 4 წარმოდგენა ვითამაშეთ. 2020 წლის თებერვალში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვიმღერეთ და... ამ დროს დაიწყო პანდემიაც. რა თქმა უნდა, იტალიაში წარმოდგენები გადაიდო. 2020 წლის ოქტომბერში ბოლონიის თეატრში, პანდემიის პირობებში ვიმღერეთ. პანდემიის გამო 2-წლიანი პაუზა მქონდა, თუმცა 2022 წლის ნოემბერში სიმღერას დავუბრუნდი და ძალიან მიხარია.

- უცხოეთში ყველაზე მეტად რამ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?

- იტალია მიყვარს. იტალიელები ცოტათი გიჟები არიან, ბევრს ლაპარაკობენ და სულ ჭამენ (იცინის). რაღაცით ქართველებს ჰგვანან, თან საოცარი სამზარეულო აქვთ. კანარის კუნძულებზე ის მომეწონა, რომ ზამთარშიც კი არ ცივა, ულამაზესი ოკეანე და სანაპიროები აქვთ.

- რომ არა ეს სფერო, რომელს აირჩევდით და რატომ?

- როგორც გითხარით, ბავშვობიდან მსახიობობა მინდოდა, თუმცა ოპერის მომღერალი მსახიობიც არის. რომ არა ეს სფერო, ვიქნებოდი ავტომრბოლელი, რითაც ბოლო წლებია, ძალიან დავინტერესდი. ასევე, სიამოვნებით ვიქნებოდი მზარეული.

- ახლახან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში „დაისის“ პრემიერა შედგა, სადაც ცანგალას როლი მოირგეთ და ქართულ ოპერაში დებიუტი გქონდათ. როგორი განცდა იყო ქართულად სიმღერა?

- დავიწყოთ იქიდან, რომ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ ყველასთვის საყვარელი და გამორჩეულია, ფოლკლორით, ცეკვებითაა გაჯერებული და ყველა ქართველის გულთან მიდის. დიახ, ჩემთვის დებიუტი იყო ქართულ ოპერაში. მთელი დასისთვის დღესასწაული იყო ეს პერიოდი. 2009 წლის შემდეგ არ დადგმულა ეს ოპერა, ამიტომ ყველა სულმოუთქმელად ველოდით. დიდი ბედნიერებაა ქართველ მაყურებელთან ქართულად სიმღერა.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჯერჯერობით კონკრეტული - არაფერი. ვარ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიწვეული სოლისტი და ამ ორ თეატრში ვმღერი. ვიმედოვნებ, მომეცემა შანსი, ვიმღეროო რომელიმე ევროპულ თეატრში.



სიყვარული – გზა თავისუფლებისკენ

მე-4 გვერდიდან

ზოგადად, ხარისხიან მუსიკას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ვთქვა, არ არსებობს ჩემი დღე მუსიკის გარეშე.

- როგორია თქვენი წილი ბათუმი?

- ბათუმი არის ტილო... ბათუმი მრავალფეროვანი, თბილი და საყვარელი ქალაქია, სადაც ნებისმიერი ადამიანი თავისი განწყობის შესაბამის სივრცეს პოულობს, თავის ისტორიას წერს. ამ ქალაქის უმთავრესი ხიბლი ჩემთვის ჩემი მეგობრები არიან. ასევე ზღვას, ჰორიზონტს და უსასრულობას დიდი როლი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. ბათუმი არის ის ქალაქი, სადაც მთელი ცხოვრება ვიცხოვრებ და არ მომწყინდება.

- როლი, რომელსაც დიდი სიამოვნებით განასახიერებდით...

- დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი პროფესორ ვოლანდს „ოსტატი და მარგარიტადან“, რადგან ეს პერსონაჟი აიძულებს ადამიანებს, პასუხი აგონ თავიანთ ამორალურ დანაშაულებზე.

- ქალი, რომელთანაც სიამოვნებით იცეკვებდით ტანგოს...

- რთული შეკითხვაა, ახლა წარმოსახვაში ძალიან ბევრ ქალთან მომინდა ცეკვა, მაგრამ მოდი... ამჯერად, სკარლეტ იოჰანსონთან ვიცეკვებ ტანგოს.

- ფილმი, რომელშიც ცოტა ხნით გადახვიდოდით საცხოვრებლად.

- „ცისფერი მთები“. ვაჟა ზაზაევიჩთან დავჯდებოდი საქეიფოდ, ოღონდ როგორც პროფესორი ვოლანდი.

- სიყვარული, როგორც....

- ჟანგბადი. სიყვარულს ჩემს ცხოვრებაში ჟანგბადზე დიდი როლიც აქვს. სიყვარული არის ის ერთადერთი გრძნობა, რომელსაც შეუძლია, ადამიანს თავი ადამიანად აგრძნობინოს. მინდა, თქვენს მკითხველს, ჩემს მაყურებელს და მთლიანად დედამიწას ვემუდარო, რომ უყვარდეთ, უპირველესად, საკუთარი თავი და შემდეგ - ერთმანეთი. ალბათ ეგ არის ის ღვთიური ედემი, რაზეც გვესაუბრება ღმერთი. ყველას თუ ერთმანეთი ეყვარება, ხომ შეუძლებელი იქნება, ადამიანებმა დანაშაული ჩაიდინონ? ხომ შეუძლებელია, ადამიანმა ადამიანს წაართვას რაიმე მნიშვნელოვანი, როდესაც იცის სიყვარულისა და საკუთარი თავის მნიშვნელობა? ისევ და ისევ, სიყვარული ერთადერთი გზაა თავისუფლებისკენ.

- ადამიანი და მისგან ნათქვამი ფრაზა, რომელიც ყველაზე მეტად გენატრებათ...

- მამა მენატრება ყველაზე მეტად. მასთან არაჩვეულებრივი მეგობრები ხშირად მოდიოდნენ სტუმრად, ბევრს საუბრობდნენ, მღეროდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ, სიტყვაუხვობდნენ. ერთ-ერთი სტუმრობისას, როცა სიცოცხლის სადღეგრძელოს ჩემი თამადობით სვამდნენ, ხან ასი წლის სიცოცხლე მისურვეს, ხან ორასის, მეც ბავშვი ვიყავი და მიხაროდა, მათი ნათქვამის მიხედვით ლამის სამას წელიწადს უნდა მეცოცხლა. ამ დროს მამაჩემმა გამომხედა, თვალი ჩამიკრა და მითხრა. „მამა, კაცური სიცოცხლე იყოს და 15 წუთი იყოს“. ეს ფრაზა სულ მდევს.

- ვინ არის ლევან აბულაძე?

- ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, ზომიერად ამბიციური და ძალიან მოსიყვარულე. მოკლედ, კარგი ადამიანია ლევან აბულაძე.

38 წელი - სკოლების დირექტორად

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მიხეილ ხალვაში ჯიხანჯურის საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს. იგი ლექსების კრებულების ავტორიცაა. მას სკოლაში ვესაუბრეთ

- წინა საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე და სპეციალობის მიხედვით, სკოლაში მუშაობა დავიწყე. 1985 წელს ზედა ლეღვას სკოლის დირექტორობა მანდეს, ხოლო 1987 წელს ახლად გახსნილი ჯიხანჯურის სკოლა ჩამაბარეს. 38 წელი სკოლის დირექტორად ყოფნა იოლი საქმე არ გახლავთ. ეს პროფესიის და მომავალი თაობის სიყვარულმა შემაძლებინა. რამდენად გამომივიდა ეს, საზოგადოებამ, ჩემმა აღსაზრდელებმა განსაჯონ.

- 36 წელია, ჯიხანჯურის საჯარო სკოლას უდგახართ სათავეში. რა წარმატებებს მიაღწიეთ?

- ჯიხანჯურის სკოლაში მისი გახსნის დღიდან ვმუშაობ, ამ სკოლის პირველი დირექტორი გახლავართ. ამ დროის განმავლობაში, სიმწიფის ატესტატი 1000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო, მათგან 70 პროცენტზე მეტი უმაღლესდამთავრებულია ან სწავლობს. ჩვენთან დაკვალიანებულმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა წარმატებები მოიპოვეს მეცნიერების სარბიელზე, სპორტსა და ხელოვნებაში. თემურ სამხარაძე ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია ძალისმიერ სამჭიდში, ხუთი კურსდამთავრებული ჩვენი სკოლის სერტიფიცირებული პედაგოგია, აღსანიშნავია ისიც, რომ კურსდამთავრებულთაგან საბრალდებო სკამზე არავინ მჯდარა. რამდენიმე დღის წინ 10-მდე მოსწავლემ საპატიო სიგელი დაიმსახურა ზურაბ გორგილაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. მე იმ სკოლის კურსდამთავრებული ვარ, რომელიც წელს აღდგენიდან საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს. იქ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ განათლების სისტემის ამაგდარები. მარტო სერგო ჯაიანისა და მეჯიდ გაბაიძის მუშაობა იქნება საკმარისი. მოსწავლეებს მეგობრული ურთიერთობები გვქონდა უკრაინელ თანატოლებთან. ასეთი მუშაობა სტიმულის მომცემი იყო. რა დასამალია და ღირსეული დირექტორებისა და პედაგოგების გამოცდილებას ახლაც ვიყენებ მუშაობაში.

- სკოლის ხელმძღვანელობას შემოქმედებით საქმიანობასაც უხამებთ. როდის დაწერეთ პირველი ლექსი?

- პირველი ლექსი დავწერე მე-8 კლასში. სწავლის პერიოდში სტატიებს ვაქვეყნებდი გაზეთ „ნორჩი ლენინელში“.

- 7 ძმა გაიზარდეთ ხიხაძირელი ხალვაშების ოჯახში. რამდენად გამოადექით მშობლიურ ქვეყანას?

- ვისაც გასული საუკუნის ეკონომიკური სიდუხჭირე გამოვლილი აქვს, არ გაუკვირდება, თუ რის ფასად შეძლეს ჩვენმა მშობლებმა, რომ 7 ძმიდან ექვსს პედაგოგიური და ექიმის განათლება მიგვეღო. ჩვენთვის წიგნი და სწავლა იყო მთავარი. ჩემზე უფროსი ძმების გავლენაც დიდი იყო. ისინი წარმატებით მუშაობდნენ თავიანთი პროფესიით, რაც ჭერ კიდევ მოსწავლეს, შემდეგ სტუდენტს სტიმულს მაძლევდა. ახლაც ერთი ძმა - გივი ბათუმის მერვე საჯარო სკოლის დირექტორია. სასკოლო რეფორმით მიმდინარე პროცესებს ერთმანეთს ხშირად ვაცნობთ.

- მალე 70 წელს მიითვლით, მთავარი რა იყო ცხოვრების გზაზე?

- ჩემი გავლილი ცხოვრება გამოვხატე ლექსში „გზები“:

ბევრი ვიარე, ვიარე ცოტა,
ვიარე მთით თუ ვიარე ბარით,
სადაც ვყოფილვარ, ყველგან მახსოვდა
ვისი გორისა ვარ და ვისი გვარის.
დღესაც იმ მხრებს მაწევს ჯაფა,
რაც ბავშვობაში ამოვარჩიე,
და მე ქალაქის ასფალტის საფარს,
სოფლის მტვრიანი გზები ვარჩიე.
ამ გზებზე ბევრი სიკეთე მახსოვს,
ვხარჯავდი აქ ჩემს ახალგაზრდობას,
სიკეთეს - ბარი, სიყვარულს მთა ქსოვს.
ორივეს მინდა ვუთხრა მადლობა,
ამ გზებზე კვლავაც დავალ,
არ მეშინია მიხედვის უკან
და ამ ქვეყნიდან როდესაც წავალ,
კეთილ საქმეთა დარჩება რუკა.

გამოცემული მაქვს ლექსების ორი კრებული: „გზები“ (2008 წ.) და „რაც მიფიქრია“ - (2013 წ.).

- სკოლის 300 მოსწავლიდან თუ გეგულებათ ისეთი, რომელიც შემოქმედებით გზას აირჩევს?

- საბედნიეროდ, სკოლის მოსწავლეების ერთი ნაწილი წერს ლექსებს, ნოველებს, ჩანახატებს. სკოლაში პოეტები რომ გვსტუმრობდნენ, მოსწავლეებმა მათ საკუთარი ლექსები, ჩანახატები, ესეები წაუკითხეს.

- სკოლას ამ დღეებში შემოქმედი ადამიანები სტუმრობდნენ...

- ეს იყო პირველი შემთხვევა. ძალიან კარგი იყო პოეტებთან გულიკო გაბაიძესთან, ვახტანგ გოგრაჭაძესთან, მზია თავართქილაძესა და ჟურნალისტ ოთარ ცინარიძესთან შეხვედრა, რაც არასოდეს დაავიწყდებათ მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

- ხალვაშის გვარის მატარებლები საქართველოში ცოტანი ხართ. ფრიდონ ხალვაშთან თუ გქონდათ ურთიერთობა?

- მასთან ახლო ურთიერთობა გვქონდა ხიხაძირელ ხალვაშებს. გამორჩეულად ის და ცეკვის ჯადოქარი ენვერ ხალვაში მეგობრობდნენ. მისი სკოლაში მოწვევა მინდოდა, მაგრამ აღარ დაგვცალდა. ფრიდონის მრავალი ლექსი ზეპირად ვიცი.

- თქვენს სოფელზე რას გვეტყვით?

- ვცხოვრობ სოფელ ლეღვაში და ვმუშაობ ჯიხანჯურში. ლეღვაზე დაწერილი მაქვს ლექსი, რომელსაც გთავაზობთ:

ბაშადის ღელეს, ცხრაფონას ღურდანს,
მონღოლი სძაგდა, თურქმანი სძულდა.
ჩეხეღნის მთაზე მტერს ჩეხდი მუდამ,
მომხდურებს შენი გაქრობა სურდა...
და შენ გადარჩი. ამ გადარჩენას,
შეუპოვრობა, სიფხიზლე უნდა,
დღეს ლეღვაელებს შეხვდებით გუნდად,
განათლებულებს ძლიერს და გულადს,
სტუმართმოყვარეს, მომღიმარს, პურადს,
მორწმუნეს, მლოცველს, მირონში მცურავს,
დიდება ლეღვას, ჩემს ლეღვაელებს,
ყველას ნამუსის ქუდი რომ ხურავს!

უკრაინა

ბელგია აცხადებს, რომ მზადაა, უკრაინელ პილოტებს ამერიკულ F-16 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებზე წვრთნები ჩაუტაროს. გავრცელებული ინფორმაციით, F-16 თვითმფრინავების საკითხი უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბელგიისა და ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრებთან შეხვედრებზე განიხილა. „თვის დასაწყისში ჰააგაში გამართულ სამიტზე, F-16-ების საკითხი ვოლოდიმირ ზელენსკისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის დროს განიხილეს. ვთქვით, რომ მოიერიშე თვითმფრინავების მიწოდება არ შეგვიძლია, მაგრამ შეგვიძლია პილოტების მომზადება“, - ციტირებს ბელგიური გამოცემა პრემიერ-მინისტრის ოფისის მიერ გავრცელებულ განცხადებას. ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა ანდრეი ერმაკმაც დაადასტურა. „ჩვენ გვჭირდება საბრძოლო თვითმფრინავები და მადლობას ვუხდით მოკავშირეებს ამ მიმართულებით მუშაობისთვის. კერძოდ, ბელგიამაც დაადასტურა მზადყოფნა პილოტების მომზადებისთვის“, - წერს ანდრეი ერმაკი სოციალურ ქსელში.

* * *

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უკრაინელი სამხედროების გადამზადება რამდენიმე კვირაში დაიწყება. „შემიძლია დავადასტურო, რომ 1A1 Abrams-ის ტიპის 31 სასწავლო ტანკი გერმანიის გრაფენვერის სასწავლო ცენტრში ჩავიდა, რათა უკრაინული სატანკო ეკიპაჟის შემდგომი წვრთნისთვის მოამზადონ. მოსალოდნელია, რომ ეკიპაჟები ჩამოვლენ და დაიწყებენ წვრთნას მომდევნო რამდენიმე კვირაში“, - აღნიშნა უწყების პრესსპიკერმა. აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ უკრაინაში ტანკების გაგზავნის შესახებ იანვარში განაცხადა. რამდენიმე დღის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა განაცხადა, რომ უკრაინა Abrams-ის ტანკებს შემოდგომის დასაწყისში მიიღებს. მისი განმარტებით, უკრაინელ სამხედროებს უკვე აქვთ „წვდომა“ Abrams-ის რამდენიმე ტანკზე, რათა დაიწყონ ეკიპაჟების მომზადება იმ ტანკებისთვის, რომლებიც მოგვიანებით ჩავა. პენტაგონი იმედოვნებს, რომ დაპირებული ტანკების უკრაინაში ჩასვლამდე ეკიპაჟები მზად იქნებიან მათ სამართავად.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებმა ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკას მიმართულებით მოწინააღმდეგის 49 შეტევა მოიგერიეს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, ოკუპანტების თავდასხმები კონცენტრირებულია ბახმუტსა და მარინკაზე. „ქალაქ ბახმუტისთვის „ცხელი“ შეტაკებები გრძელდება. ქალაქის წინააღმდეგ შეტევითი მოქმედებების გარდა, ოკუპანტები წარუმატებლად ცდილობდნენ წინსვლას ივანოვსკოეს დასახლების მიმართულებით“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, მოწინააღმდეგის დაბომბვის შედეგად დონეცკის ოლქის რამდენიმე დასახლება დაზარალდა. უკრაინის თავდაცვის ძალებმა ასევე მოიგერიეს მრავალი თავდასხმა ავდიივკისა და მარინკას მიდამოებში. რუსულმა ძალებმა დონეცკის ოლქის კრასნოგოროვკას, ოსტრომას, გეორგიევკას, მარინკასა და ნოვომიხაილოვკას დასახლებები დაბომბეს. მათ ლიმანის მიმართულებით შეტევითი ოპერაციები თითქმის არ ჩაუტარებიათ, თუმცა სოფელ სპორნოეზე ავიადარტყმა განახორციელეს.

* * *

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი და ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი მარკ რუტე საერთაშორისო კოალიციის შესაქმნელად იმუშავებენ, რათა უკრაინას, პუტინის შეჭრისთვის წინააღმდეგობის გაწევის ამ გადამწყვეტ მომენტში, F-16 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების მოპოვებაში დაეხმარონ, - ამის შესახებ დაუნინგ სტრიტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული. მათივე ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრები შეთანხმდნენ, რომ უკრაინას საჰაერო შესაძლებლობებით უზრუნველყოფის მიზნით მხარდაჭერას გაუწევენ. „პრემიერ-მინისტრები რიში სუნაკი და მარკ რუტე შეთანხმდნენ, რომ იმუშავებენ საერთაშორისო კოალიციის შექმნაზე, რათა უკრაინა საბრძოლო საჰაერო შესაძლებლობებით უზრუნველყონ ყველაფერში მხარდაჭერის აღმოჩენით: წვრთნებიდან დაწყებული, F-16 საბრძოლო თვითმფრინავების მოპოვებით დამთავრებული“, - აღნიშნულია ინფორმაციაში, რომელიც რიში სუნაკისა და მარკ რუტეს ისლანდიაში მიმდინარე ევროსაბჭოს სამიტის ფარგლებში გამართული შეხვედრის შემდეგ გავრცელდა.

* * *

ჩინეთმა პეკინში უცხოურ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვა, არ გამოიყენონ თავიანთი შენობების გარე კედლები „პოლიტიკური პროპაგანდისთვის“, რაც აშკარად გულისხმობს უკრაინის მხარდაჭერის ბანერებს. ამის შესახებ იაპონური საგენტო Kyodo წყაროებზე დაყრდნობით წერს. Kyodo აღნიშნავს, რომ პეკინში ბევრ საელჩოს, უკრაინისადმი სოლიდარობის გამოსახატავად, უკრაინის დროშის გამოსახულებებით და წარწერებით ბანერები აქვს ჩინურ და ინგლისურ ენაზე. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 10 მაისით დათარიღებული შეტყობინება საელჩოებს მოუწოდებდა, არ გამოეყენებინათ შენობების გარე კედლები პროპაგანდისთვის. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციები „ვალდებულნი არიან, დაიცვან ჩინეთის კანონები და რეგულაციები“, თუმცა პეკინი პატივს სცემს ვენის კონვენციით დაცულ დიპლომატიურ იმუნიტეტს. საგენტოს ცნობით, ამ ნაბიჯს ევროპისა და სხვა რეგიონების დიპლომატების ნეგატიური რეაქცია მოჰყვა და არცერთმა მათგანმა არ მოხსნა აბრები.

* * *

17 მაისს უკრაინას დატოვებს მარცვლეულით დატვირთული ბოლო გემი, რომელიც მოქმედებს შავი ზღვის არეალში უსაფრთხო ექსპორტის შეთანხმების თანახმად, - განაცხადა გაეროს პრესმდივანმა. ეს მან განაცხადა ერთი დღით ადრე, სანამ რუსეთს შეეძლება გავიდეს შეთანხმებიდან მარცვლეულის და სასუქების ექსპორტზე წინაღობების გამო. გასული წლის ივლისში გაეროსა და თურქეთის შუამავლობით გაფორმდა საექსპორტო შეთანხმება, თავიდან 120 დღის ვადით, იმისთვის, რომ შემსუბუქებულიყო საკვების გლობალური კრიზისი, რომელიც გაღრმავდა მოსკოვის შეჭრით უკრაინაში, მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს მარცვლეულის ექსპორტიორ ქვეყანაში. ნოემბერში მოსკოვი დათანხმდა შეთანხმების გახანგრძლივებას.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/05/23, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმში ზურაბ ზურაბიშვილმა იმღერა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმმა სახელოვნებო პროექტს „ნექსუსი“ უმასპინძლა. პროექტის პირველი დღე უცხოეთში მოღვაწე ტენორ ზურაბ ზურაბიშვილს დაეთმო, მეორე დღეს კი, მის ფარგლებში, მოქანდაკე ირაკლი წულაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა

ორივე ღონისძიება საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა (გამოფენაზე უკვე წერდა გაზეთი „აჭარა“). ბატონი ზურაბი საკმაოდ ცნობილი მომღერალია, რომელსაც უცხოეთის არაერთ პრესტიჟულ სცენაზე იწვევენ. დაიბადა თბილისში. თავდაპირველად, ქართულ ხალხურ სიმღერაზე დადიოდა თემურ ქევხიშვილთან და კოტე მშვიდობაძესთან. სპორტითაც იყო დაკავებული (ფეხბურთით), არის თბილისის ორგზის ჩემპიონი ჭადრაკში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკასაც ეუფლებოდა. 1994 წელს ავსტრიაში გაემგზავრა და მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან მუსიკალურ სასწავლებელში - ზალცბურგის მოცარტერიუმში გააგრძელა სწავლა. სხვათა შორის, იქ მოხვედრა არ იყო ადვილი, მაგრამ 170 მონაწილიდან 9 საუკეთესო რომ შეარჩიეს, მათ შორის ზურაბიც იყო და... სტუდენტი გახდა. სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ 2003 წელს ზურაბ ზურაბიშვილი ავსტრიის კულტურის მინისტრმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა, რომელიც მთელი ავსტრიის მასშტაბით, წელიწადში მხოლოდ ერთ ხელოვანზე გაიცემა. მას მოუსმინეს აუსბურგის (გერმანია) ოპერაში, სადაც 83 ტენორს შორის გამოარჩიეს. ასე დაიწყო ზურაბ ზურაბიშვილის მდიდარი და ნაყოფიერი საოპერო კარიერა. აუსბურგში პირველად დე ალბერტის „შავ ორქიდეაში“ იმღერა, მოგვიანებით დისკიც გამოიცა. ეს ამ ოპერის ერთადერთი ჩანაწერია, ამიტომაც მსოფლიოს მასშტაბით იყიდება.

2010 წლიდან ესენის ოპერის თეატრის მთავარი ტენორია. წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო, რთული პარტია იმღერა ცნობილი კომპოზიტორების ოპერებში, რამდენიმე ბათუმშიც მოვისმინეთ. ეს იყო მაღალპროფესიული, უბადლო შესრულება. ბატონი ზურაბი მშობლიური ქართულის გარდა, რამდენიმე უცხოურ ენას ფლობს, მათ შორის რუსულს, ინგლისურს, იტალიურს, გერმანულსა და ფრანგულს. პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა - გერმანული მუსიკის კურსი მიჰყავს პეზაროს საერთაშორისო საოპერო აკადემიაში, რომელსაც ქართველი სოპრანო ნინო ლეჟავა ხელმძღვანელობს.

- ძალიან კარგი პროექტია. „ნექსუსი“ ურთიერთობას, კავშირს ნიშნავს და დღეს ეს კავშირი მუსიკასთან გვაქვს. სერიოზული, ძლიერი ტენორია ზურაბ ზურაბიშვილი. ამჟამად მანჰაიმში მოღვაწეობს, ვაგნერის საზოგადოების წევრია, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ.

- ინტელექტით გაჯერებული გამოსვლა ჰქონდა ბატონ ზურაბს. საინტერესო იყო ასევე ირაკლი წულაძის გამოფენა და ეს ორივე ღონისძიება ერთმანეთთან პროექტმა „ნექსუსი“ გააერთიანა. ირაკლი წულაძის რამდენიმე ნამუშევარი ამშვენებს ჩვენს ქალაქს, ამიტომ დავუჭირეთ მხარი ამ პროექტს, რათა ახლოს გვენახა და გავცნობოდით ირაკლის შესანიშნავ შემოქმედებას, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

როგორც პიანისტმა ნინო ნიშნიანიძემ აღნიშნა, საღამოს მოსამზადებლად მცირე დრო ჰქონდათ, მაგრამ როცა ისეთ პროფესიონალთან გაქვს საქმე, როგორიც ზურაბ ზარაბიშვილია, იქ დაბრკოლება არ არსებობს...

- ულამაზესი ხმა აქვს, თავისი საქმის პროფესიონალია. ასეთი მომღერლები ხშირად უნდა ჩამოვიდნენ ახალგაზრდებთან მასტერკლასების ჩასატარებლად, რადგან ბატონ ზურაბს ბრწყინვალე სკოლა აქვს გავლილი და მათთვის საინტერესო იქნება. იგი ნამდვილი იტალიური სკოლის მომღერალია, - გვითხრა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა მარიამ ჯახუტაშვილმა.

- დღეს ძალიან თბილი, გამორჩეული ატმოსფერო იყო, ნამდვილად არ ველოდი. მსმენელთან ასე ახლოს ყოფნა ძალიან სასიამოვნო გახლდათ. გამიხარდა ამ პროექტში მონაწილეობა. ძალიან მიყვარს ბათუმი და კმაყოფილი ვარ, ჩამოსვლის შესაძლებლობა კიდევ რომ მომეცა, აქ 2020 წელს ვიმყოფებოდი, მაშინ ორკესტრთან ერთად ბათუმის სახელმწიფო თეატრში ვიმღერე. ისიც სასიამოვნო მოგონებად დამრჩა, - აღნიშნა ზურაბ ზურაბიშვილმა, რომელმაც სასიამოვნო წუთები აჩუქა ხელოვნების ცენტრში მოსულ მსმენელს.

მრავალსულიან ოჯახს გული გაუხარეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაწესებული ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის დღე საქართველოში 17 მაისს ყოველწლიურად აღინიშნება

ამ დღეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქველმოქმედო ორგანიზაციის „სიკეთის მარცვალი“ წარმომადგენლები გორხანაულის უბანში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველი როინ დავითაძის მრავალსულიან ოჯახს ესტუმრნენ.

აქციაში მონაწილეობდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე და საქველმოქმედო ორგანიზაციის „სიკეთის მარცვალი“ დამფუძნებელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი დავით დავითაძე. მათ სოციალურად დაუცველ როინ დავითაძის დიდ ოჯახს სასურსათო პროდუქტები მიუტანეს.

- 4 შვილის მამა ვარ. ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალია. ასე მოდის ჩემი ოჯახი, ამას მოვუწოდებ შვილებს, - გვითხრა როინ დავითაძემ.

აკრობატების წარმატება - სომხეთში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმელი აკრობატები ბოლო რამდენიმე წელია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ როგორც შიდა, ისე ქვეყნის გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში

მატებებს აღწევენ როგორც შიდა, ისე ქვეყნის გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში

ამ დღეებში ბათუმელმა აკრობატებმა სომხეთის ქალაქ გიუმრიში ჩატარებულ ღია პირველობაში მიიღეს მონაწილეობა და ისევ წარმატებულად გამოვიდნენ.

მოზარდთა პირველ თანრიგში პირველ ადგილზე გავიდა თეკლა მახარაძისა და ნინი ლამპარაძის წყვილი. ამავე თანრიგში პირველი იყო გოგონათა სამეული - ნინო სურმანიძის, ნუცა გიორგაძის და ქეთევან კუპრაძის შემადგენლობით.

პირველ ადგილზე გავიდა მოზარდთა მეორე თანრიგში გოგონათა წყვილი - დიანა ბასილაძე და დეა მუავანაძე, ამავე თანრიგში არც გოგონათა სამეულმა დათმო პირველობა - ბარბარე მახარაძე, მერი დუმბაძე და ანასტასია შარაძე საუკეთესონი იყვნენ.

ვულოცავთ გოგონებსა და მათ მწვრთნელ მარინე კალანდაძეს ამ წარმატებას.

ამჯერადაც - წარმატებულად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თბილისში, სპორტკომპლექს „არენა 2“-ში საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის

მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ნაკრები გუნდები. ტრადიციულად, აჭარის ნაკრები ხულოს მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ჩოგბურთელებმა წარადგინეს.

გოგონათა წყვილში ანა და ლიდა მელაძეები მესამე ადგილზე გავიდნენ (მწვრთნელი - მინური რიჟვაძე). მარი რიჟვაძემ გოგონათა წყვილში მეორე ადგილი მოიპოვა, პირად პირველობაზე - პირველი, შერეულში კი მეორე ადგილზე გავიდა (მწვრთნელი - მინური რიჟვაძე).

ჩოგბურთელებს ნაწილობრივი ფინანსური მხარდაჭერა ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია.

- ვულოცავთ ჩოგბურთელებს, ასევე მწვრთნელ მინური რიჟვაძეს მიღწეულ შედეგებს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს, - გვითხრა სასპორტო სკოლის დირექტორმა ავთანდილ აბულაძემ.

ასპარეზობენ ვეტერანები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის №2 საჯარო სკოლაში ქალაქის ღია პირველობა ჩატარდა შაშში, რომლის ორგანიზატორია აჭარის შაშის ფედერაცია (პრეზიდენტი - გიორგი ბოლქვაძე)

ქალთა შორის პირველ ადგილზე ეთერ ჩავლეიშვილი გავიდა, მეორეზე - ნინო აბაშიძე, მესამეზე - ლია თედორაძე.

მამაკაცებში პირველი ადგილი აიღო ჯუმბერ კოკობინაძემ, რომელმაც სძლია შარშანდელ გამარჯვებულ ლეონიდ გაბაის. მესამე ადგილი დებიუტანტმა გივი მამულაძემ დაისაკუთრა.

ასპარეზობას აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ტაბაღუა უძღვებოდა, რომელიც, ამავდროულად, ღონისძიების მთავარი მსაჯი გახლდათ.

* * *

ბათუმის ზღვისპირა პარკის საჭადრაკო კლუბში „ნონა“ ვეტერანთა პირადი პირველობა ჩატარდა ჭადრაკში, რომელიც აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის (პრეზიდენტი - შალვა ტაბაღუა) ორგანიზებითა და სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით გაიმართა.

ქალთა შორის პირველ ადგილზე მედეა ბიბილეიშვილი გავიდა, მეორე ადგილი აიღო ლია თედორაძემ, მესამე - თალიკო გაბეჩავამ.

მამაკაცთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა ნოდარ ძნელაძემ, მეორე - შოთა ბასკურიძემ, მესამე - ქაზიმ გორაძემ.

უხუცეს მონაწილეებს - ანგელინა გუგუშვილსა და ნოდარ ტაკიძეს შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა შალვა ტაბაღუამ სამახსოვრო პრიზები გადასცა.